სამეცნიერო-პრაქტიკული ელექტრონული ჟურნალი

ბალანსებში

აგვისტო №15

- ოფიციალური დოკუმენტები
- დაბეგვრის თეორია და მეთოდოლოგია
- დაბეგვრის პრაქტიკა
- ფინანსები, აღრიცხვა და აუდიტი
- ხელშეკრულებები საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობაში კომენტარებით
- კითხვა-პასუხები

2019

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ფინანსური და საქართველოს ინფორმაციის ცენტრი

გთავაზობთ:

- ბუღალტრული და საგადასახადო აღრიცხვა-ანგარიშგების სქემების დამუშავებას და ბუღალტრული და საგადასახადო აღრიცხვის აწყობას ახლადშექმნილ და მოქმედ კომპანიებში
- ბუღალტრული და საგადასახადო აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოებას ხელშეკრულებით
- კომპანიის საქმიანობის ფინანსურ ანალიზს და ფინანსური გაჯანსაღების ღონისძიებების დაგეგმვას
- ექსპორტ-იმპორტის საგადასახადო კონცეფციის შემუშავებას

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

gamomcemeli: Sps `biznes inteleqti~
Publisher: Business Intellect Ltd.

UDC (uak) 336.2+336.14(051.2)
g-145

referirebadi da recenzirebadi samecniero-praqtikuli el.Jurnali
`gadasaxadebi~
registrirebulia #04-06/65, 10.08.2009 / **Registred** #04-06/65, 10.08.2009

Referred and reviewed scientific & practical e.magazine `Gadasakhadebi~

mTavari redaqtori:
daviT jalaRonia,
sruli profesori
Chief Editor:
David Jalaghonia, Full Professor

pasuxismgebeli mdivani
marine xubua, asocirebuli profesori
Executive Secretary:
Marine Khubua, Associated Professor

redaqtori: madona gelaSvili
asocirebuli profesori
Editor:
Madona Gelashvili, Associated Professor

teqnikuri redaqtori:
naziko gomelauri
Technical Editor: Naziko Gomelauri
koreqtori: rusiko papaskiri
asocirebuli profesori
Corrector:
Rusiko Papaskiri, Associated Professor

marketolog-konsultanti:
devi Sonia, asocirebuli profesori
Marketing Consultant:
Devi Shonia, Associated professora

iurist-konsultanti:
elguja qavTaraZe, asocirebuli profesori
Legal Advisor:
Elguja Kavtaradze, Associated Professor

saredaqcio kolegia
EDITORIAL BOARD
Tavmjdomare: profesori daviT jalaRonia
ChairmanC: **professor David Jalagonia**

ekonomikur mecnierebaTa doqtorebi, profesorebi:
Doctors of Economics, Professors:

zaur amilaxvari	Zaur Amilakhvari
rezo gvelesiani	Rezo Gvelesiani
simon gelaSvili	Simon Gelashvili
irma dixaminjia	Irma Dikhaminjia
kaxaber eraZe	Kakhaber Eradze
SoTa veSapiZe	Shota Veshapidze
larisa TakalanZe	Larisa Takalandze
zurab lipartia	Zurab Lipartia
zaira RuduSauri	Zaira Gudushauri
Temur Sengelia	Temur Shengelia
mixeil CikviladZe	Mikheil Chikviladze
nodar xaduri	Nodar Khaduri
elene xarabaZe	Elene Kharabadze
rezo xarebava	Rezo Kharebava
nanuli ZimceiSvili	Nanuli Dzimceishvili

anJelika krutova - xarkovi, ukraina
Angelica Krutova - Kharkiv, Ukraine
kerimovi elsever nariman oRli - baqo, azerbaijani
Kerimov Elsever Nariman Ogli - Baku, Azerbaijan

el. Jurnali ,,gadasaxadebi~
registrirebulia
s.k. 404941300
E. Magazine "GADASAKHADEBI"
(Taxes) is registered
ID code: 404941300

mimRebi: Sps 'biznes inteleqti~
mimRebis IBAN angariSis #GE67TB332136020100005
mimRebis banki: s.s `Tibisi~ banki
bankis kodi: TBCBGE22

Beneficiary's name: **Business Intellect Ltd**
BEN'S ACCOUNT - GE67TB332136020100005
Beneficiary Bank: TBC BANK, GEORGIA
BANK KODE - TBCBGE22
T/Fax: 00995 32 2307851 , mob/Mob:00995 5 93 79 10 77

redaqciis azri SesaZloa ar emTxveodes avtorisas. statiaSi moyvanili faqtebisa da monacemebis sizusteze pasuxismgebelia avtori.

Author's opinion may differ from the one of the Editorial Board. Accuracy of the facts and data provided in the article is the responsibility of author

gamodis TveSi erTxel, fasi 4 lari / MONTHLY MAGAZINE, PRICE: GEL 4

ISSN 1987-9156

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

sarCevi / **Table of contents**

oficialuri dokumentebi / **Formal documents**

oficialuri dokumentebi ---------- 5-54

instruqcia / **Instructions** ---------- 53-56

gadasaxadebi #15, 2019

GADASAKHADEBI #15, 2019

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №359

2019 წლის 5 აგვისტო, ქ. თბილისი

„მრავალშვილიანი მშობლის სოციალური დაცვის უზრუნველყოფის წესისა და პირობების განსაზღვრის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 ოქტომბრის №517 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „მრავალშვილიანი მშობლის სოციალური დაცვის უზრუნველყოფის წესისა და პირობების განსაზღვრის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 ოქტომბრის №517 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 31/10/2018, 040000000.10.003.020833) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „მრავალშვილიანი მშობლის სოციალური დაცვის უზრუნველყოფის წესისა და პირობების“:

1. **მე-2 მუხლის**:

ა) **მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ სოციალურ შეღავათს მრავალშვილიანი მშობლის სტატუსის მქონე პირის ოჯახი იღებს იმ შემთხვევაში, თუ შესაბამისი ოჯახი (სოციალური შეღავათის მიღებაზე უფლებამოსილი პირი) რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და საანგარიშო თვის პირველი რიცხვის მდგომარეობით, მინიჭებული სარეიტინგო ქულა ტოლია ან ნაკლებია 300 000 პირობით ერთეულზე.“;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ბ) მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შეღავათი არ გაიცემა მრავალშვილიან მშობელზე, რომლის ბავშვ(ებ)ი მონაცემთა დამუშავების მომენტისათვის სააგენტოს ხელთ არსებული ინფორმაციით განთავსებულნი არიან სახელმწიფო მეურვეობის/მზრუნველობის ქვეშ, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ბავშვ(ებ)ის სახელმწიფო მეურვეობის/მზრუნველობის ქვეშ განთავსების მიუხედავად, მრავალშვილიან მშობელთან მყოფი ბავშვების რაოდენობა შეადგენს არანაკლებ ოთხ 18 წლამდე ასაკის ბავშვს.“.

2. მე-3 მუხლის:

ა) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. სააგენტო უზრუნველყოფს, ყოველი თვის პირველი რიცხვის მდგომარეობით, მონაცემთა რეესტრში არსებული ინფორმაციის (მშობლის სქესი, პირადი ნომრები, მშობელსა და შვილებს შორის კავშირის თაობაზე და არასრულწლოვანი ბავშვების პირადი ნომრები) სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზასთან შედარებას (სოციალური შეღავათის მიღებაზე უფლებამოსილი პირის) პირადი ნომრების მიხედვით, ასევე მონაცემთა რეესტრში არსებული ინფორმაციის (არასრულწლოვანი ბავშვების პირადი ნომრები) შედარებას სააგენტოს ხელთ არსებულ ბაზასთან საანგარიშო თვის ან წინა თვის პირველი რიცხვის მდგომარეობით, სახელმწიფო მეურვეობის/მზრუნველობის ქვეშ განთავსებული ბავშვების შესახებ. შედარების შედეგად, ელექტროენერგიის განაწილების ლიცენზიანტ(ებ)ს მიეწოდებათ იმ აბონენტების ნომრები, რომლებზეც უნდა განხორციელდეს სოციალური შეღავათი. სოციალური შეღავათის მიღების უფლება აქვთ მხოლოდ საყოფაცხოვრებო მომხმარებლებს, რომლებსაც გააჩნიათ ინდივიდუალური (არა საერთო მოხმარების) აბონენტების ნომრები.“;

ბ) მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) სოციალური შეღავათის გაცემისათვის საჭირო პერსონალური მონაცემების (სახელი, გვარი, პირადი ნომერი, მშობლის სქესი) დამუშავებას;“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ - მინისტრი

მამუკა ბახტაძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №370

2019 წლის 6 აგვისტო, ქ. თბილისი

„2019 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 დეკემბრის №693 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „2019 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 დეკემბრის №693 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 31/12/2018, 470000000.10.003.021008) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „2019 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების“ №6 დანართის („ტუბერკულოზის მართვა“):

1. **მე-9 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„1. პროგრამის მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურების ზედამხედველობა ხორციელდება გეგმურ ამბულატორიულ შემთხვევათა ზედამხედველობის წესის შესაბამისად. ამასთან, დაუშვებელია, მე-3 მუხლის „ა.ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურებით განსაზღვრული ვაუჩერ(ებ)ით ბენეფიციარმა ისარგებლოს რამდენჯერმე ერთი საანგარიშგებო თვის განმავლობაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც პირველად პაციენტის გამოკვლევა მოხდა – „რისკის ჯგუფების სკრინინგი აქტიურ ტუბერკულოზზე“, „რისკის ჯგუფების სკრინინგი ლატენტურ ტუბერკულოზზე (კვანტიფერონით)“, „რისკის ჯგუფების სკრინინგი ლატენტურ ტუბერკულოზზე (მანტუს გამოყენებით)“ – ვაუჩერების ფარგლებში და დასაბუთებული ეჭვი იქნა მიტანილი ფილტვგარეშე ტუბერკულოზზე, რის შემდეგაც პაციენტის გამოკვლევა გრძელდება ერთ-ერთი შესაბამისი ვაუჩერით.“.

2. **„დანართი 6.1 – ერთეულის ღირებულებები“ ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„დანართი 6.1

ერთეულის ღირებულებები

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

№	მომსახურების დასახელება	ერთეულის ღირებულება (ლარი)
	ამბულატორიული მომსახურება	
1	**ფილტვის ტუბერკულოზის სავარაუდო შემთხვევა/კონტაქტები (გამოკვლევა – ერთეულის ღირებულება)**	
1.1	რისკის ჯგუფების სკრინინგი აქტიურ ტუბერკულოზზე	52
1.2	რისკის ჯგუფების სკრინინგი ლატენტურ ტუბერკულოზზე (კვანტიფერონით)	26
1.3	რისკის ჯგუფების სკრინინგი ლატენტურ ტუბერკულოზზე (მანტუს გამოყენებით)	29
1.4	ბავშვი (18 წლამდე)	58
2	**ფილტვგარეთა ტუბერკულოზის სავარაუდო შემთხვევა (გამოკვლევა – ერთეულის ღირებულება)**	
2.1	ტუბერკულოზური პლევრიტი	170
2.2	ძვალ-სახსრის ტუბერკულოზი	124
2.3	ურო-გენიტალური ტუბერკულოზი	89
2.4	ქალის გენიტალური ტუბერკულოზი	131
2.5	პერიფერიული ლიმფური კვანძების ტუბერკულოზი	105
2.6	აბდომინალური ტუბერკულოზი	83
3	**ამბულატორიული მკურნალობა (ერთი თვის ვაუჩერი)**	
3.1	სენსიტიური ტუბერკულოზი (ორივე ფაზა)	65
3.2	ფილტვის ტუბერკულოზის მკურნალობის შემდგომი მონიტორინგი (სენსიტიური და რეზისტენტული TB) 6 თვეში ერთხელ 2 წლის განმავლობაში	27
3.3	ლატენტური TB-ის მკურნალობა (2 წლამდე ასაკის ბავშვთა და დოლუტეგრავირის შემცველი ანტირეტროვირუსულ მკურნალობაზე მყოფ აივ-ინფიცირებულ პირთათვის)	30
3.4	ლატენტური TB-ის მკურნალობა იზონიაზიდი+ რიფაპენტინი	57
3.5	ლატენტური TB-ის მკურნალობის შემდგომი მონიტორინგი (წელიწადში ერთხელ)	27
3.6	რეზისტენტული ტუბერკულოზი (საინექციო) (ინტენსიური ფაზა მაქსიმუმ 7თვე)	225
3.7	რეზისტენტული ტუბერკულოზი (საინექციო) (გაგრძელების ფაზა მაქსიმუმ 13 თვე)	86
3.8	მულტირეზისტენტული TB-ის მკურნალობა (პერორალური) პირველი ფაზა – პირველი 2 თვე)	358
3.9	მულტირეზისტენტული TB-ის მკურნალობა (პერორალური) მეორე ფაზა – მკურნალობის მე-3 თვიდან მაქსიმუმ 16 თვე	158
3.10	მონორეზისტენტული ტუბერკულოზი	66

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

	სტაციონარული მომსახურება	
4	**ქირურგიული ოპერაციები (ერთეულის მაქსიმალური ღირებულება)**	
4.1	ფილტვის ტუბერკულოზის ქირურგიული მკურნალობა (პულმონექტომია)	2575
4.2	აბდომინური ქირურგიული მკურნალობა	1210
4.3	ძვალ-სახსრის ტუბერკულოზის ქირურგიული მკურნალობა	3930
4.4	სამარდე სისტემის ტუბერკულოზის ქირურგიული მკურნალობა	2080
4.5	თორაკოსკოპიული მინიინვაზიური ოპერაციები ტუბერკულოზის დროს	1455
4.6	ოპერაციები ლიმფურ კვანძებზე	1165
4.7	ოპერაციები მამაკაცთა სასქესო სისტემის ტუბერკულოზის დროს	745
5	**თერაპიული სტაციონარული მომსახურება (საწოლდღე)**	
5.1	სენსიტიური ტუბერკულოზი (ქ. თბილისი)	101
5.2	რეზისტენტული ტუბერკულოზი (ქ. თბილისი)	142
5.3	ტუბერკულოზური მენინგიტი (ქ. თბილისი)	133
5.4	სენსიტიური ტუბერკულოზი (რეგიონი)	50
5.5	რეზისტენტული ტუბერკულოზი (რეგიონი)	70
5.6	რთული სადიაგნოსტიკო შემთხვევა (სტაციონარული საწოლდღის ლიმიტი, მაქსიმუმ 4 საწოლდღე)	246
6	**ჯინექსპერტის აპარატზე ნახველის კვლევის ღირებულება**	10

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2019 წლის 1 გვისტოდან.

პრემიერ - მინისტრი

მამუკა ბახტაძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №371

2019 წლის 6 აგვისტო, ქ. თბილისი

„მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 23 მაისის №241 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 23 მაისის №241 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 29/05/2019, 430050000.10.003.021258) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის“ VII თავით გათვალისწინებულ გარდამავალ დებულებებს დაემატოს შემდეგი შინაარსის პუნქტები:

„პრაქტიკოსი მასწავლებლისთვის უფროსი მასწავლებლის სტატუსის მინიჭების განსაკუთრებული წესი

1. პრაქტიკოს მასწავლებელს (გარდა არაქართულენოვანი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სექტორების პრაქტიკოსი მასწავლებლისა), რომელიც 2020 წლის 31 იანვრის ჩათვლით ვერ მოიპოვებს უფროსი მასწავლებლის სტატუსს, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორი, საჭიროების შემთხვევაში, უფორმებს ვადიან შრომით ხელშეკრულებას და აღნიშნული პოზიცია ცხადდება ვაკანტურად.

2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ვაკანტურ პოზიციაზე კონკურსის წესით ასაქმებს პირს, რომელიც აკმაყოფილებს „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21^3 მუხლით მასწავლებლის განათლებისთვის დადგენილ მოთხოვნებს. ვაკანტურ პოზიციაზე შერჩეული პირის დანიშვნა წარმოადგენს პრაქტიკოს მასწავლებელთან დადებული ვადიანი შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველს.

საჯარო სკოლაში დასაქმებული საპენსიო ასაკს მიღწეული პრაქტიკოსი მასწავლებლისთვის ფულადი ჯილდოს გაცემის წესი

1. საჯარო სკოლაში დასაქმებული საპენსიო ასაკს მიღწეული პრაქტიკოსი მასწავლებლის ფულადი ჯილდო (შემდგომში – ფულადი ჯილდო) წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონით განსაზღვრული ასიგნებებიდან სახელმწიფოს მიერ ერთჯერადი გასაცემელის სახით გადახდილ ფულად თანხას, რომელიც მასწავლებელს მიეცემა საჯარო სკოლასა და მასწავლებელს შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებ(ებ)ის შეწყვეტის საფუძველზე.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

2. ფულადი ჯილდოს მიღების მოთხოვნით განცხადების დაწერის უფლება აქვს საჯარო სკოლის იმ პრაქტიკოს მასწავლებელს, რომელიც საპენსიო ასაკს მიაღწევს 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

3. პრაქტიკოსმა მასწავლებელმა შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტისა და ფულადი ჯილდოს მიღების თაობაზე განცხადებით უნდა მიმართოს იმ საჯარო სკოლის დირექტორს, სადაც დასაქმებულია შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე.

4. იმ შემთხვევაში, თუ პრაქტიკოსი მასწავლებელი ასწავლის ერთზე მეტ საჯარო სკოლაში, ვალდებულია, შეწყვიტოს შრომითი ურთიერთობა ყველა საჯარო სკოლასთან, ფულადი ჯილდოს აღების მიზნით, რა დროსაც ფულადი ჯილდო გამოითვლება თითოეულ საჯარო სკოლასთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე.

5. ფულადი ჯილდოს ოდენობა შეადგენს ბოლო 3 თვის განმავლობაში პრაქტიკოსი მასწავლებლის მიერ ყოველთვიური შრომის ანაზღაურების (საშემოსავლო გადასახდელის გარეშე) საშუალო არითმეტიკულის 24-ჯერ ნამრავლს, ხოლო მასწავლებელს, რომელსაც 2019-2020 სასწავლო წლის დაწყებამდე შეჩერებული აქვს შრომითი ურთიერთობა, ფულადი ჯილდო მიეცემა ნამუშევარი ბოლო 3 თვის განმავლობაში ყოველთვიური შრომის ანაზღაურების (საშემოსავლო გადასახდელის გარეშე) საშუალო არითმეტიკულის 24-ჯერ ნამრავლის ოდენობით.

6. ფულადი ჯილდოს ოდენობა დაანგარიშდება „საჯარო სკოლების მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების მინიმალური ოდენობისა და პირობების დადგენის თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 28 სექტემბრის №126/ნ ბრძანებით განსაზღვრული პრაქტიკოსი მასწავლებლის თანამდებობრივ სარგოსა და მასზე გათვალისწინებული დანამატების გათვალისწინებით.

7. თუ პრაქტიკოსი მასწავლებელი, ფულადი ჯილდოს მიღების შემთხვევაში, ხელშეკრულების შეწყვეტიდან 2 წლის განმავლობაში კვლავ გადაწყვეტს საჯარო სკოლაში მასწავლებლის ვაკანტურ პოზიციაზე დასაქმებას, ვალდებულია, დააკმაყოფილოს „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21^3 მუხლით მასწავლებლის განათლებისთვის დადგენილი მოთხოვნები და დააბრუნოს ფულადი ჯილდო სრული ოდენობით, ხოლო თუ პრაქტიკოსი მასწავლებელი, ფულადი ჯილდოს მიღების შემთხვევაში, ხელშეკრულების შეწყვეტიდან 2 წლის შემდეგ გადაწყვეტს საჯარო სკოლაში მასწავლებლის ვაკანტურ პოზიციაზე დასაქმებას, ვალდებულია, დააკმაყოფილოს „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21^3 მუხლით მასწავლებლის განათლებისთვის დადგენილი მოთხოვნები.

8. საჯარო სკოლაში დასაქმებული საპენსიო ასაკს მიღწეული პრაქტიკოსი მასწავლებლისთვის ფულადი ჯილდოს გაცემის წესს, პირობებს, ეტაპებსა და ვადებს ადგენს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

9. ამ თავით გაუთვალისწინებელი შემთხვევების შესახებ ფულადი ჯილდოს ოდენობის დაანგარიშებასა და გაცემასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ - მინისტრი

მამუკა ბახტაძე

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №372

2019 წლის 6 აგვისტო, ქ. თბილისი

„საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან შექმნილი ვადაგადაცილებული საგადასახადო დავალიანებებისა და სასესხო დავალიანებების რესტრუქტურიზაციის მიზანშეწონილობის საკითხის შემსწავლელი კომისიის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 14 ივნისის №236 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან შექმნილი ვადაგადაცილებული საგადასახადო დავალიანებებისა და სასესხო დავალიანებების რესტრუქტურიზაციის მიზანშეწონილობის საკითხის შემსწავლელი კომისიის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 14 ივნისის №236 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 16/06/2011, 010220020.10.003.016396) შეტანილ იქნეს ცვლილება და პირველი მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. დამტკიცდეს საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან შექმნილი ვადაგადაცილებული საგადასახადო დავალიანებებისა და სასესხო დავალიანებების რესტრუქტურიზაციის მიზანშეწონილობის საკითხის შემსწავლელი კომისია (შემდგომში – კომისია) შემდეგი შემადგენლობით:

საქართველოს ფინანსთა მინისტრი – კომისიის თავმჯდომარე;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი – კომისიის წევრი;

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი – კომისიის წევრი;

საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე – კომისიის წევრი;

საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე – კომისიის წევრი;

საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის უფროსი – კომისიის წევრი;

საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილე – კომისიის წევრი;

სსიპ – შემოსავლების სამსახურის უფროსი – კომისიის წევრი;

სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე – კომისიის წევრი;

სსიპ –კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარე – კომისიის წევრი;

საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარე – კომისიის წევრი;

საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე – კომისიის წევრი.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ - მინისტრი

მამუკა ბახტაძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №375

2019 წლის 6 აგვისტო, ქ. თბილისი

„ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამა „ქართული ჩაის“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 18 იანვრის №20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, „ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამა „ქართული ჩაის“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 18 იანვრის №20 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 21/01/2016, 340170000.10.003.019084) შეტანილ იქნეს ცვლილება და:

1. **მე-3 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„მუხლი 3. დაევალოს ა(ა)იპ – სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოს „ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამა „ქართული ჩაის“ განხორციელება, ხოლო სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს კი – ამ დადგენილებით დამტკიცებული პროგრამის ფარგლებში შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.“.

2. **დადგენილებით დამტკიცებული „ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამა „ქართული ჩაის“**:

ა) მე-2 მუხლის „ ვ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ვ) **სარეაბილიტაციო სამუშაოები** – ჩაის პლანტაციის რეაბილიტაციის მიზნით განსახორციელებელი სამუშაოების ჩამონათვალი, რომელსაც შეიმუშავებს ა(ა)იპ – სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტო (შემდგომში – სააგენტო), სსიპ – სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევით ცენტრთან ერთად;“;

ბ) მე-7 მუხლის პირველი პუნქტის:

ბ.ა) „ბ.ა“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

ბ.ბ) „ბ.ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ.ბ) თანადაფინანსების ხელშეკრულების ძალაში შესვლის თარიღიდან არაუგვიანეს 24 (ოცდაოთხი) თვის ვადაში ჩაის გადამამუშავებელი საწარმოს შენობის ექსპლუატაციაში მიღების აქტის წარდგენა ან არანაკლებ 70 კვ. მ შენობა-ნაგებობის შეძენა, სადაც მოეწყობა ჩაის პირველადი გადამუშავების საწარმო;“;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

გ) მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის:

გ.ა) „ბ.ა“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

გ.ბ) „ბ.ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ.ბ) თანადაფინანსების ხელშეკრულების ძალაში შესვლის თარიღიდან არაუგვიანეს 24 (ოცდაოთხი) თვის ვადაში ჩაის გადამამუშავებელი საწარმოს შენობის ექსპლუატაციაში მიღების აქტის წარდგენა ან არანაკლებ 70 კვ. მ შენობა-ნაგებობის შეძენა, სადაც მოეწყობა ჩაის პირველადი გადამუშავების საწარმო;“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდეს პროგრამის იმ ბენეფიციარებზე, რომლებთანაც გაფორმებულია თანადაფინანსების ხელშეკრულება.

პრემიერ - მინისტრი

მამუკა ბახტაძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №387

2019 წლის 14 აგვისტო, ქ. თბილისი

„აწარმოე საქართველოში“ სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 მაისის №365 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „აწარმოე საქართველოში“ სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 მაისის №365 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 03/06/2014, 240140000.10.003.017985) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ აწარმოე უკეთესი მომავლისთვის ნაწილის“ 12^{21} მუხლის „ი“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ი) **საკონკურსო კომისია** – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატისა და სააგენტოს წარმომადგენლებით დაკომპლექტებული კომისია, რომელიც განსაზღვრავს პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელ ეტაპებს, მათი ჩატარების ვადებს, პირობებსა და პროცედურებს, მათ შორის, დაფინანსების პირობებს, საერთაშორისო ორგანიზაციის ან/და საერთაშორისო აუდიტორული კომპანიის საშუალებით მონიტორინგის განხორციელების პირობებსა და პროცედურას, შეფასების კრიტერიუმებს, ახდენს პროგრამის შემდგომი გაუმჯობესების იდენტიფიცირებასა და რეკომენდაციების შემუშავებას; ახორციელებს პროგრამის ბენეფიციარის/პროგრამის ბენეფიციართა ჯგუფის შერჩევის პროცედურას და იღებს გადაწყვეტილებას დაფინანსების თაობაზე. კომისიის შემადგენლობასა და საქმიანობის წესს ამტკიცებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი (კომისიის თავმჯდომარე);“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ - მინისტრი

მამუკა ბახტაძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №389

2019 წლის 16 აგვისტო, ქ. თბილისი

„მაღალმთიან რეგიონებში სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სათიბ-საძოვრების რაციონალურად გამოყენების სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 29 მაისის №265 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, „მაღალმთიან რეგიონებში სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სათიბ-საძოვრების რაციონალურად გამოყენების სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 29 მაისის №265 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 31/05/2017, 010110020.10.003.019974) შეტანილ იქნეს ცვლილება და:

1. **მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„**მუხლი** 2. ამ დადგენილების პირველ მუხლში აღნიშნული „მაღალმთიან რეგიონებში სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სათიბ-საძოვრების რაციონალურად გამოყენების სახელმწიფო პროგრამის“ დაფინანსება განხორციელდეს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შემავალი ა(ა)იპ – სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოსთვის „საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით“ გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში (პროგრამული კოდიდან: 31 06 05).“.

2. **მე-3 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„**მუხლი** 3. დაევალოს ა(ა)იპ – სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოს „მაღალმთიან რეგიონებში სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სათიბ-საძოვრების რაციონალურად გამოყენების სახელმწიფო პროგრამის“ განხორციელება, ხოლო საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს, სსიპ – დაცული ტერიტორიების სააგენტოს, სსიპ – ეროვნულ სატყეო სააგენტოსა და სსიპ – ეროვნულ საშენ მეურნეობას – ამ დადგენილებით დამტკიცებული პროგრამის ფარგლებში შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.“.

3. **დადგენილებით დამტკიცებული „მაღალმთიან რეგიონებში სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სათიბ-საძოვრების რაციონალურად გამოყენების სახელმწიფო პროგრამის“**:

ა) **მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„2. პროგრამის განმახორციელებელია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შემავალი ა(ა)იპ – სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტო (შემდგომში – სააგენტო).“;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ბ) მე-3 მუხლის „ბ“ – „კ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) **პოტენციური ბენეფიციარი** – სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი, რომელიც პროგრამაში მონაწილეობის მიზნით წარადგენს განაცხადს;

გ) ბენეფიციარი – სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი, რომელთანაც გაფორმებულია სამმხრივი ხელშეკრულება;

დ) ხელშეკრულება – სააგენტოსა და ბენეფიციარს შორის გაფორმებული ხელშეკრულება, რომელიც განსაზღვრავს პროგრამის ფარგლებში მხარეთა მიერ შესასრულებელ ვალდებულებებს;

ე) სამმხრივი ხელშეკრულება – სააგენტოს, ბენეფიციარსა და მომწოდებელს (პირი, რომელიც სახელმწიფო შესყიდვის ფარგლებში ახორციელებს საჭირო საქონლის ან/და მომსახურების მიწოდებას) შორის გაფორმებული ხელშეკრულება დანართ №3-ით გათვალისწინებული აღჭურვილობის შესყიდვაზე;

ვ) იჯარის ხელშეკრულება – სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსა და ბენეფიციარს შორის გაფორმებული ხელშეკრულება სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სათიბითა და საძოვრით სარგებლობის შესახებ;

ზ) რძის გადამამუშავებელი საწარმო – ამ პროგრამის მიზნებისთვის, ნედლი რძის გადამუშავებისათვის განკუთვნილი შენობა-ნაგებობა დანართ №2-ით გათვალისწინებული აღჭურვილობით;

თ) აღჭურვილობა – ამ პროგრამის დანართებით: №2-ით, №3-ით, №4-ითა და №5-ით გათვალისწინებული ტექნიკა, დანადგარები და აღჭურვილობა;

ი) სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სათიბი – სათიბი, რომელიც ამ პროგრამის ფარგლებში იჯარით გადაეცემა ბენეფიციარს;

კ) სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საძოვარი – საძოვარი, რომელიც ამ პროგრამის ფარგლებში იჯარით გადაეცემა ბენეფიციარს;“;

გ) მე-4 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 4. პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი თანადაფინანსება და სახელმწიფო შესყიდვები**

1. პროგრამის ფარგლებში სააგენტო განახორციელებს:

ა) დანართ №2-ით გათვალისწინებული აღჭურვილობის სახელმწიფო შესყიდვას, ამ დანართის შესაბამისად;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ბ) დანართ №3-ით გათვალისწინებული ტექნიკის 90%-იან თანადაფინანსებას, არა უმეტეს 60,000 ლარისა ერთ ბენეფიციარზე;

გ) დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ განახლებაში, წალკის მუნიციპალიტეტის სოფელ ტბეთსა და ახალქალაქის მუნიციპალიტეტის კოთელიის ადმინისტრაციულ ერთეულში რძის გადამამუშავებელი საწარმოების ასაშენებლად საჭირო საპროექტო მომსახურების, სამშენებლო სამუშაოებისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკურ ზედამხედველობასთან დაკავშირებული მომსახურების სახელმწიფო შესყიდვას.

2. დანართ №4-ითა და დანართ №5-ით გათვალისწინებული შესყიდული აღჭურვილობის სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსათვის (შემდგომში – ქონების ეროვნული სააგენტო) გადაცემას უზრუნველყოფს შპს „სოფლის მეურნეობის ლოჯისტიკის და სერვისების კომპანია“.

3. დანართ №4-ით გათვალისწინებული აღჭურვილობა გადაეცემათ ამ პროგრამის მე-8 მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრულ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს, ხოლო დანართ №5-ით გათვალისწინებული აღჭურვილობა გადაეცემა ყველა ბენეფიციარს, გარდა პროგრამის მე-8 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა. აღჭურვილობის საკუთრებაში გადაცემა ხდება მისი სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების შედეგად დაფიქსირებული სახელშეკრულებო ღირებულების 10%-ის ოდენობის საპრივატიზებო თანხის გადახდის სანაცვლოდ, პირდაპირი მიყიდვის ფორმით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, რისთვისაც ქონების ეროვნული სააგენტო უზრუნველყოფს შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებას.“;

დ) მე-5 მუხლის პირველი პუნქტის:

დ.ა) „ა“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

დ.ბ) „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) ყველა მეპაიე რეგისტრირებულია მაღალმთიან დასახლებაში, ხოლო ამ მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული არანაკლებ 11 მეპაიე, როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირი, რეგისტრირებულია მაღალმთიან დასახლებაში, რომელიც მიეკუთვნება იმ ადმინისტრაციულ ერთეულს, რომელშიც რეგისტრირებულია პოტენციური ბენეფიციარი;“;

დ.გ) „$დ^1$“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„$დ^1$) თუ ფურები ან/და დეკეულები სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის მეპაიე სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის ან/და ამავე სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მეპაიე ფიზიკურ პირთა მფლობელობაშია, ეს მეპაიეები რეგისტრირებულნი უნდა იყვნენ იმ ადმინისტრაციულ ერთეულში, რომელშიც რეგისტრირებულია პოტენციური ბენეფიციარი;“;

დ.დ) „კ“ და „ლ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

„კ) შერჩეული აქვს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული, იჯარის უფლებით მისაღები სათიბი ან საძოვარი ან ორივე ერთად ერთ სულ ფურზე ან/და დეკეულზე არანაკლებ 1,5 ჰექტარისა და არა უმეტეს 4 ჰექტარისა, რომლებიც რეგისტრირებულია იმავე მუნიციპალიტეტში, სადაც რეგისტრირებულია პოტენციური ბენეფიციარი;

ლ) ამ პროგრამით განსაზღვრული სათიბი ან/და საძოვარი ბენეფიციარზე იჯარით გაიცემა მხოლოდ იმ ფურების ან/და დეკეულების რაოდენობის მიხედვით, რომელთა მფლობელი რეგისტრირებულია იმ ადმინისტრაციულ ერთეულში, სადაც რეგისტრირებულია პოტენციური ბენეფიციარი ან/და რომელიც პოტენციური ბენეფიციარის მფლობელობაშია.“;

დ.ე) „მ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

ე) მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული პირობების დასადასტურებლად პოტენციურმა ბენეფიციარმა რეგისტრაციისას სააგენტოს უნდა წარუდგინოს:

ა) ცნობა სსიპ – სურსათის ეროვნული სააგენტოდან სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის ან/და მისი მეპაიე სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის ან/და ამავე სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მეპაიეთა მფლობელობაში არსებული:

ა.ა) ფურების ან/და დეკეულების შესახებ;

ა.ბ) მსხვილფეხა საქონლის სადგომის/დროებითი სადგომის რეგისტრაციის შესახებ;

ბ) სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სათიბისა და საძოვრის მაიდენტიფიცირებელი ინფორმაცია (მიწის საკადასტრო კოდი და აგეგმვითი/აზომვითი ნახაზი);

გ) ცნობა სსიპ – შემოსავლების სამსახურიდან დავალიანების არქონის თაობაზე;

დ) ცნობა სსიპ – აღსრულების ეროვნული ბიუროდან მოვალეთა რეესტრში რეგისტრაციის შესახებ;

ე) პოტენციური ბენეფიციარის მეპაიეთა რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი, კერძოდ, სსიპ – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული საინფორმაციო ბარათი პიროვნების რეგისტრაციის შესახებ;

ვ) წევრთა რეესტრის ასლი;

ზ) საერთო კრების ოქმი პროგრამაში მონაწილეობის შესახებ გადაწყვეტილების თაობაზე.“;

ვ) მე-6 მუხლი ამოღებულ იქნეს;

ზ) მე-7 მუხლის:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ზ.ა) მე-2 – მე-4 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ბენეფიციართან ხელშეკრულების გაფორმებამდე სააგენტო განმცხადებლის მიერ რეგისტრაციისას წარდგენილ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სათიბისა და საძოვრის მაიდენტიფიცირებელ ინფორმაციასა (მიწის საკადასტრო კოდი და აგეგმვითი/აზომვითი ნახაზი) და პოტენციური ბენეფიციარის მეპაიეთა რაოდენობასთან დაკავშირებულ ინფორმაციას წარუდგენს ქონების ეროვნულ სააგენტოს, ამავე სათიბისა და საძოვრის პროგრამის ფარგლებში იჯარის უფლებით გაცემის საკითხის საქართველოს მთავრობის წინაშე ინიციირების შესაძლებლობის დადგენის მიზნით.

2^1. იმ შემთხვევაში, თუ სათიბის ან/და საძოვრის პოტენციური ბენეფიციარისთვის/ბენეფიციარისთვის გადაცემის თაობაზე ქონების ეროვნული სააგენტო საკითხის საქართველოს მთავრობის წინაშე ინიციირების შესაძლებლობის დადგენის შესახებ მიაწვდის სააგენტოს უარყოფით მოსაზრებას, სააგენტო პოტენციურ ბენეფიციარს/ბენეფიციარს ამავე პროგრამით დადგენილი ფართობების ფარგლებში სხვა სათიბის ან/და საძოვრის მოსაძიებლად განუსაზღვრავს გონივრულ ვადას, მაგრამ არა უმეტეს 6 თვისა. თუ პოტენციური ბენეფიციარი/ბენეფიციარი ვერ მოიძიებს სათიბს ან/და საძოვარს, სააგენტო უფლებამოსილია, ამ პოტენციური ბენეფიციარისთვის/ბენეფიციარისთვის განკუთვნილი აღჭურვილობა გადასცეს სხვა პოტენციურ ბენეფიციარს/ბენეფიციარს, ამ პროგრამით დადგენილი წესით.

3. ბენეფიციარსა და სააგენტოს შორის ხელშეკრულება ფორმდება ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ, ამ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, პოტენციური ბენეფიციარის მიერ მოძიებული, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სათიბისა და საძოვრის პროგრამის ფარგლებში იჯარის უფლებით გადაცემის საკითხის საქართველოს მთავრობის წინაშე ინიციირების შესაძლებლობის საკითხის შეთანხმების შემდგომ.

4. პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სათიბისა და საძოვრის იჯარის უფლებით მიღების მიზნით, პროგრამის ბენეფიციარი შესაბამისი განაცხადით, სააგენტოსთან გაფორმებული ხელშეკრულებით, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სათიბისა და საძოვრის ბენეფიციარისთვის გადაცემის შესახებ სააგენტოს შუამდგომლობითა და იჯარის უფლებით გადასაცემი სათიბისა და საძოვრის მაიდენტიფიცირებელი ინფორმაციით მიმართავს ქონების ეროვნულ სააგენტოს.“;

ზ.ბ) მე-9 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„9. თუ პოტენციური ბენეფიციარის მიერ რეგისტრაციისას სააგენტოსათვის წარდგენილი, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სათიბისა და საძოვრის იჯარით გადაცემა შეუძლებელია, ქონების ეროვნული სააგენტო, ბენეფიციართან შეთანხმებით, უზრუნველყოფს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სათიბისა და საძოვრის ჩანაცვლებას ან/და კორექტირებას ამ პროგრამით დადგენილი ფართობების ფარგლებში.“;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ზ.გ) მე-11 და მე-12 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„11. თუ სათიბი ან/და საძოვარი ეკუთვნის „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 და მე-7 მუხლებით განსაზღვრულ ტერიტორიას, სააგენტო პოტენციური ბენეფიციარის მიერ რეგისტრაციისას წარდგენილ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სათიბისა და საძოვრის მაიდენტიფიცირებელ ინფორმაციას (მიწის საკადასტრო კოდი და აგეგმვითი/აზომვითი ნახაზი) წარუდგენს შესაბამისი მუნიციპალიტეტის ორგანოს, რომელიც საკითხის ინიციირებას ახდენს სსიპ – დაცული ტერიტორიების სააგენტოს წინაშე. სსიპ – დაცული ტერიტორიების სააგენტოს თანხმობის შემთხვევაში, პოტენციურ ბენეფიციარსა/ბენეფიციარსა და სააგენტოს შორის ფორმდება ხელშეკრულება და პოტენციური ბენეფიციარი/ბენეფიციარი მიმართავს სსიპ – დაცული ტერიტორიების სააგენტოს იჯარის ხელშეკრულების გაფორმების მიზნით, ამ მუხლის მე-6 პუნქტით დადგენილი პირობების შესაბამისად.

12. თუ სათიბი ან/და საძოვარი ეკუთვნის საქართველოს ტყის კოდექსით განსაზღვრულ ტერიტორიას, სააგენტო პოტენციური ბენეფიციარის მიერ რეგისტრაციისას წარდგენილ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სათიბისა და საძოვრის მაიდენტიფიცირებელ ინფორმაციას (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი და აგეგმვითი/აზომვითი ნახაზი) წარუდგენს სსიპ – ეროვნულ სატყეო სააგენტოს, ამავე სათიბისა და საძოვრის პროგრამის ფარგლებში ტყით სარგებლობის უფლებით გაცემის საკითხის საქართველოს მთავრობის წინაშე ინიციირების შესაძლებლობის დადგენის მიზნით. დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, ბენეფიციარსა და სააგენტოს შორის ფორმდება ხელშეკრულება და ბენეფიციარი მიმართავს სსიპ – ეროვნულ სატყეო სააგენტოს ამ მუხლის მე-4 პუნქტით დადგენილი წესით.“;

თ) მე-8 მუხლის:

თ.ა) პირველი და მე-2 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. პროგრამის ფარგლებში, სააგენტოს მიერ დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ განახლებაში, წალკის მუნიციპალიტეტის სოფელ ტბეთსა (ხადიკსა) და ახალქალაქის მუნიციპალიტეტის კოთელიის ადმინისტრაციულ ერთეულში აშენდება რძის გადამამუშავებელი საწარმოები და დაკომპლექტდება დანართ №2-ით გათვალისწინებული აღჭურვილობით. რძის გადამამუშავებელი საწარმოს შენობა-ნაგებობების ფართობები შეადგენს არაუმეტეს 600 $მ^2$-ს.

2. სააგენტოს მიერ ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული რძის გადამამუშავებელი საწარმოების აშენების მიზნით, ქონების ეროვნულ სააგენტოსთან შეთანხმებით, ხორციელდება შესაბამის მუნიციპალიტეტებში სახელმწიფო საკუთრებაში არსებული, იჯარით გაუცემელი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების მოძიება, რომელთა ფართობი შეადგენს 1 ჰექტარს.“;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

თ.ბ) მე-3 პუნქტი ამოღებულ იქნეს;

თ.გ) მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. დმანისის, წალკისა და ახალქალაქის მუნიციპალიტეტებში რძის გადამამუშავებელი საწარმოების მშენებლობის დასრულებისა და დანართ №2-ით გათვალისწინებული აღჭურვილობით დაკომპლექტების შემდეგ, მიწის ნაკვეთი და მასზე არსებული შენობა-ნაგებობა, აღჭურვილობასთან ერთად, პირდაპირი მიყიდვის წესით გადაეცემა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს, რომლებიც აკმაყოფილებენ ამ პროგრამის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“, „ზ“, „თ“, „ი“ ქვეპუნქტებითა და ამ პუნქტით განსაზღვრულ შემდეგ პირობებს:

ა) მეპაიეთა რაოდენობა შეადგენს არანაკლებ 3 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივს;

ბ) პოტენციური ბენეფიციარის მეპაიე თითოეულ კოოპერატივს ან/და მათ მეპაიეებს (ერთობლივად) საკუთრებაში ჰყავთ არანაკლებ 200 სული ფური/დეკეული.“;

თ.დ) მე-6 პუნქტი ამოღებულ იქნეს;

თ.ე) მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული პირდაპირი მიყიდვის წესით პრივატიზებისას საპრივატიზებო თანხა შეადგენს რძის გადამამუშავებელი საწარმოებისათვის განკუთვნილი შენობა-ნაგებობისა და დანართ №2-ით გათვალისწინებული აღჭურვილობის სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების შედეგად დაფიქსირებული სახელშეკრულებო ღირებულების 25%-ს, რომლის გადახდა ხდება 8 წლის განმავლობაში, შემდეგი გრაფიკით: პირველ წელს – 0,5%, მე-2 წელს – 1.5%, მე-3 წელს – 4%, მე-4 წელს – 7%, მე-5 წელს – 12%, მე-6 წელს – 18%, მე-7 წელს – 25% და მე-8 წელს – 32%.“;

თ.ვ) მე-10 და მე-11 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„10. გარდა დანართ №2-ით გათვალისწინებული აღჭურვილობისა, ამ მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში ბენეფიციარებს გადაეცემათ დანართ №4-ით გათვალისწინებული აღჭურვილობა მისი ღირებულების 10%-ად, ამ პროგრამის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი წესით.

11. ამ მუხლით გათვალისწინებული პირობების დასადასტურებლად პოტენციური ბენეფიციარის მიერ სააგენტოსათვის წარსადგენი დოკუმენტების ნუსხას, წარდგენის ფორმასა და ვადას განსაზღვრავს სააგენტო.“;

ი) მე-9 მუხლის:

ი.ა) მე-2 და 2^1 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

„2. ერთ მუნიციპალიტეტში ერთი წლის განმავლობაში დაკმაყოფილდება ერთი განაცხადი. ერთი მუნიციპალიტეტიდან ორი ან მეტი განაცხადის დაფიქსირების შემთხვევაში, პირველ რიგში დაკმაყოფილდება იმ კოოპერატივის განაცხადი, რომლის მეპაიეთა საერთო რაოდენობიდან უფრო მეტი მეპაიეა რეგისტრირებული იმ ადმინისტრაციულ ერთეულში, რომელშიც რეგისტრირებულია პოტენციური ბენეფიციარი. თუ ასეთი მეპაიეების რაოდენობა ერთმანეთის ტოლია ან თუ გაკეთებული განაცხადების რაოდენობა აჭარბებს პროგრამისათვის მიმდინარე წელს განკუთვნილი ბიუჯეტის ოდენობას, მაშინ განაცხადები დაკმაყოფილდება უხარვეზო განაცხადების რიგითობის მიხედვით, პროგრამისთვის განკუთვნილი ბიუჯეტის ამოწურვამდე.

2^1. მუნიციპალიტეტ(ებ)ში (გარდა მე-8 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა) ერთზე მეტი განაცხადის დაკმაყოფილება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ყველა მუნიციპალიტეტიდან წარდგენილი განაცხადი დაკმაყოფილდა (ან არ დაკმაყოფილდა ხარვეზის გამო) და პროგრამისთვის გათვალისწინებული ბიუჯეტის ფარგლებში შესაძლებელია დამატებით ახალი განაცხადების დაკმაყოფილება. ამ შემთხვევაში, განაცხადების დაკმაყოფილებისას დაცული იქნება რიგითობა ისე, რომ მუნიციპალიტეტებში განაცხადების დაკმაყოფილებისას პროგრამაში ჩასართავი პოტენციური ბენეფიციარების რაოდენობის ზრდა მოხდება თანაბარი (პროპორციული) პრინციპით.“;

ი.ბ) 2^2, 2^3 და მე-3 პუნქტები ამოღებულ იქნეს;

კ) მე-10 მუხლის:

კ.ა) პირველი პუნქტის „დ“ და „ე“ ქვეპუნქტები ამოღებულ იქნეს;

კ.ბ) პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

კ.გ) მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

ლ) მე-10 მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 10^1 მუხლი:

„მუხლი 10^1. თანადაფინანსების გაცემის პროცედურა

განაცხადის მიღების, განხილვის, თანადაფინანსების დამტკიცებისა და გაცემის დეტალურ პროცედურას შეიმუშავებს სააგენტო.“;

მ) მე-11 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 11. მონიტორინგი

1. პროგრამის მონიტორინგს ახორციელებს სააგენტო, მის მიერ დამტკიცებული წესის შესაბამისად.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

2. ბენეფიციარმა ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნობრიობის შესრულების დასადასტურებლად უნდა წარადგინოს სსიპ – ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ წარმოებულ რეესტრში არსებული პირის საექსპერტო/აუდიტორული დასკვნა საინვესტიციო ღირებულების მიზნობრივად ხარჯვასა და მიზნობრიობის შესრულებასთან დაკავშირებით, რომელშიც აღწერილი უნდა იყოს დასკვნის მომზადების მეთოდოლოგია და თან უნდა ახლდეს ფულადი სახსრების ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტაციის ასლ(ებ)ი (საგადახდო დავალება ან/და სალაროს ჩეკი).";

ნ) მე-12 და მე-13 მუხლები ამოღებულ იქნეს;

ო) დანართი №1 ამოღებულ იქნეს.

მუხლი 2

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შემავალმა სსიპ – სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტომ უზრუნველყოს, ამ დადგენილების ამოქმედებამდე, „მაღალმთიან რეგიონებში სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სათიბ-საძოვრების რაციონალურად გამოყენების სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2017 წლის 29 მაისის №265 დადგენილებით დამტკიცებული პროგრამის მოქმედი რედაქციით გათვალისწინებული ღონისძიებების/ვალდებულებების განხორციელება, დუშეთის მუნიციპალიტეტის უკანაფშავის ადმინისტრაციულ ერთეულში ასაშენებელ რძის გადამამუშავებელ საწარმოსთან დაკავშირებით.

მუხლი 3

ამ დადგენილებით გათვალისწინებული პირობები შესაძლებელია, გავრცელდეს პროგრამაში ჩართულ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებზე, მათი მიმართვისა და სააგენტოს მხრიდან თანხმობის შემთხვევაში.

მუხლი 4

სააგენტოს საკუთრებაში გადაეცეს თანდართული დანართით გათვალისწინებული ქონება.

მუხლი 5

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ - მინისტრი

მამუკა ბახტაძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

დანართი

10 ტონა რძის საწარმოს აღჭურვილობა					
№	დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ფასი	ისტორიული ღირებულება	ნარჩენი ღირებულება
1	ყველის გადასატანი ურიკა	6	3060	18360	16891.2
2	რძის ჩამოსასხმელი კომბინირებული ტექნოლოგიური ხაზი (1500 ლ / სთ): პოლიეთილენის ბოთლების ტრანსპორტიორი , დოზატორი , ბოთლების სტერილიზატორი , მარკირების ლაზერული დანადგარი , ქილების მოსახუფი დანადგარი , შემგროვებელი მაგიდა	3	574000	1722000	1722000
3	ურიკა პალეტებისთვის	3	1320	3960	3643.2
4	რძის ანალიზატორი	6	1000	6000	6000
5	PH- მეტრი	3	2500	7500	6750

არასაცხოვრებელი შენობები					
№	დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ფასი	ისტორიული ღირებულება	ნარჩენი ღირებულება
1	პროექტი – (რძის გადამამუშავებელი საწარმო წალკა , ხადიკი)	1	39500	39500	39500
2	პროექტი – (რძის გადამამუშავებელი საწარმო დმანისი, სოფ . განახლება)	1	34700	34700	34700
3	პროექტი – (რძის გადამამუშავებელი საწარმო ახალქალაქი , სოფ . კოთელია)	1	34500	34500	34500

მიწა					
№	დასახელება	რაოდენობა კვ . მ .	ერთეულის ფასი	ღირებულება	საკადასტრო კოდი
1	მიწა – (რძის გადამამუშავებელი საწარმო წალკა , სოფ . ხადიკი)	9350	7.08	66200	85.21.22.010
2	მიწა – (რძის გადამამუშავებელი საწარმო დმანისი , სოფ . განახლება)	10000	3.10	30950	82.06.43.128
3	მიწა – (რძის გადამამუშავებელი საწარმო ახალქალაქი , სოფ . კოთელია)	10000	4.09	40920	63.06.31.044

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №393

2019 წლის 16 აგვისტო, ქ. თბილისი

„2019 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 დეკემბრის №693 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „2019 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 დეკემბრის №693 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 31/12/2018, 470000000.10.003.021008) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „2019 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების“:

1. **დანართ №2-ის (იმუნიზაცია) მე-9 მუხლის მე-14 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-15 და მე-16 პუნქტები**:

„15. ცენტრმა, ურთიერთთანამშრომლობის შესაბამისი შეთანხმების/ მემორანდუმის ფარგლებში, უზრუნველყოს:

ა) სომხეთის რესპუბლიკიდან მიღებული 30 ათასი დოზა წითელა-წითურა-ყბაყურას საწინააღმდეგო ჯერილინის შტამზე დამზადებული ვაქცინის დაბრუნება იმავე ოდენობით, იმუნიზაციის პროგრამის ფარგლებში გაეროს ბავშვთა ფონდის მეშვეობით შესყიდული რაოდენობიდან;

ბ) თურქეთის რესპუბლიკიდან მიღებული 100 ათასი დოზა წითელა-წითურა-ყბაყურას საწინააღმდეგო ჯერილინის შტამზე დამზადებული ერთდოზიანი დაფასოების ვაქცინის დაბრუნება იმავე ოდენობით, რისთვისაც საჭირო ვაქცინის შესყიდვა განხორციელდება იმუნიზაციის პროგრამის ფარგლებში, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის გზით, უშუალოდ ვაქცინის მწარმოებელი კომპანიისგან, რომელიც თავად უზრუნველყოფს ვაქცინის შეფუთვა/მარკირება/ტრანსპორტირებას თურქეთის რესპუბლიკის მოთხოვნების სრული დაცვით.

16. ამ მუხლის მე-15 პუნქტით განსაზღვრული წითელა-წითურა-ყბაყურას საწინააღმდეგო ვაქცინის ტრანსპორტირება სომხეთის რესპუბლიკაში განხორციელდეს ცენტრის მიერ საკუთარი სატრანსპორტო საშუალებებით, ხოლო თურქეთის რესპუბლიკაში უზრუნველყოფილ იქნეს უშუალოდ მწარმოებლისგან „ცივი ჯაჭვის პრინციპების“ მკაცრი დაცვით.“.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

2. **დანართ №19-ის (რეფერალური მომსახურება) მე-8 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„მუხლი 8. პროგრამის ბიუჯეტი

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრება 25,000.0 ათასი ლარით, მათ შორის:

ა) სტიქიური უბედურებების, კატასტროფების, საგანგებო სიტუაციების, კონფლიქტურ რეგიონებში დაზარალებულ მოქალაქეთა და საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული სხვა შემთხვევების დროს მოსახლეობის სამედიცინო დახმარების კომპონენტი – 24,995.0 ათასი ლარით;

ბ) ყოფილი უმაღლესი პოლიტიკური თანამდებობის პირების ოჯახის წევრთა სამედიცინო დაზღვევის კომპონენტი – 5.0 ათასი ლარით.“.

3. **დანართ №21-ის (ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფა) მე-8 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„მუხლი 8. პროგრამის ბიუჯეტი

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრება 15,000.0 ათასი ლარით, მათ შორის ლოჯისტიკის კომპონენტის ბიუჯეტი –1,000.0 ათასი ლარი.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ - მინისტრი

მამუკა ბახტაძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №397

2019 წლის 16 აგვისტო, ქ. თბილისი

„სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაციისა და აღჭურვის 2019 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 28 იანვრის №10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაციისა და აღჭურვის 2019 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 28 იანვრის №10 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 29/01/2019, 470230000.10.003.021024) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული პროგრამის:

1. **მე-2 მუხლის**:

ა) „ა“ ქვეპუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ა.დ“ ქვეპუნქტი:

„ა.დ) ინტერნეტკავშირით უზრუნველყოფის მომსახურების შესყიდვა;“;

ბ) „გ“ ქვეპუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „გ.დ“ ქვეპუნქტი:

„გ.დ) ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ქვედანაყოფებში ახალი ოფისების ინფრასტრუქტურის მოწყობის სამუშაოების შესყიდვა;“;

გ) „ვ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ვ) დაბა ბაკურიანში, დაბა გუდაურსა და სხვა საკურორტო ზონებში გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ცენტრების (EMERGENCY) მშენებლობა, რეაბილიტაცია/რეკონსტრუქცია და აღჭურვა;“;

დ) „კ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„კ) დაბა აბასთუმანში ფილტვის დაავადებათა სარეაბილიტაციო ცენტრის ფუნქციონირებისათვის სამედიცინო და სარეაბილიტაციო აპარატურისა და ინვენტარის შესყიდვა;“;

ე) „კ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ლ“ და „მ“ ქვეპუნქტები:

„ლ) ორ სერვერულ ცენტრს შორის ძირითადი და ალტერნატიული ოპტიკურ-ბოჭკოვანი („Dark Fiber“) კავშირის უზრუნველყოფის შესყიდვა;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

მ) NordDRG Grouper-პროგრამული უზრუნველყოფის შესყიდვა და დამატებული ღირებულების გადასახადი.“.

2. მე-3 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ამ პროგრამის მე-2 მუხლის „ა.ბ“, „ა.გ“, „ა.დ“, „ბ“, „გ“, „დ“, „ე“, „ვ“, „ზ“, „კ“ და „ლ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ღონისძიებების შესყიდვა განხორციელდეს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.“.

3. მე-5 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 5. პროგრამის ბიუჯეტი

პროგრამის ბიუჯეტი, კომპონენტების მიხედვით, განისაზღვროს 20 000.0 ათასი ლარით:

№	კომპონენტის დასახელება	ღირებულება (ათასი ლარი)
1	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ რუხში მრავალპროფილიანი საუნივერსიტეტო კლინიკის:	9 627.3
	1.1. საშენებლო სამუშაოების განხორციელება (ნაწილობრივი დაფინანსება)	764.0
	1.2. აღჭურვა სამედიცინო აპარატურითა და ავეჯით, საოფისე ავეჯით, საოჯახო ტექნიკითა და ინვენტარით	8 448.3
	1.3. სარეზერვო გარე ელექტრომომარაგების ხაზის მოწყობის სამუშაოების შესყიდვა	400.0
	1.4. ინტერნეტკავშირით უზრუნველყოფის მოწესახურების შესყიდვა	15.0
2	სს „ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრის“:	1 961.7
	2.1. ფუნქციონირების უწყვეტობის უზრუნველსაყოფად, საოჯარო გადასახადის გადახდა	461.7
	2.2. ფუნქციონირებისათვის სამედიცინო აპარატურის შესყიდვა	1 500.0
3	სსიპ – საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის ფუნქციონირებისათვის:	3 849.0
	3.1. 52 ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ქვედანაყოფში ახალი ოფისების აღჭურვა ავეჯით	260.0
	3.2. სასწრაფო სამედიცინო დახმარების ავტომანქანების შესყიდვა	2 808.0
	3.3. სპეციალიზებული სასწრაფო სამედიცინო დახმარების ავტომანქანებისათვის სამედიცინო აპარატურის შესყიდვა	560.0
	3.4. ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ქვედანაყოფებში ახალი ოფისების ინფრასტრუქტურის მოწყობის სამუშაოების შესყიდვა	221.0
4	შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის“ მართვაში არსებული სამედიცინო დაწესებულების ფუნქციონირებისათვის:	800.0
	4.1. სამედიცინო აპარატურისა და მოწყობილობების შესყიდვა	600.0
	4.2. სარემონტო სამუშაოების შესყიდვა	200.0
5	პირველადი ჯანდაცვის ცენტრების აღჭურვა	300.0
6	დაბა ბაკურიანში, დაბა გუდაურსა და სხვა საკურორტო ზონებში გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ცენტრების (EMERGENCY) მშენებლობა, რეაბილიტაცია/ რეკონსტრუქცია და აღჭურვა	2 124.8

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

7	ფსიქიატრიული და ადიქტოლოგიური სერვისების მიწოდებელი დაწესებულებების (შპს „აღმოსავლეთ საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი", შპს „რუსთავის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი" და შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი") აღჭურვა და სარემონტო სამუშაოების შესყიდვა	600.0
8	ქ. რუსთავში ფსიქიკური ჯანმრთელობის სარეაბილიტაციო ცენტრის მშენებლობისთვის საჭირო მიწის გამოსყიდვა	50.0
9	პროგრამის ადმინისტრირება	48.0
10	„დაბა აბასთუმნის ფილტვის დაავადებათა სარეაბილიტაციო ცენტრის" ფუნქციონირებისათვის სამედიცინო და სარეაბილიტაციო აპარატურისა და ინვენტარის შესყიდვა	490.0
11	ორ სერვერულ ცენტრს შორის ძირითადი და ალტერნატიული ოპტიკურ-ბოჭკოვანი („Dark Fiber") კავშირის უზრუნველყოფის შესყიდვა	28.2
12	NordDRG Grouper-პროგრამული უზრუნველყოფის შესყიდვა და დამატებული ღირებულების გადასახადი	121.0
	სულ:	**20 000.0.".**

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ - მინისტრი

მამუკა ბახტაძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №398

2019 წლის 16 აგვისტო, ქ. თბილისი

2019-2020 სასწავლო წლისათვის სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის წლიური მოცულობისა და ოდენობების, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულებების, მათ შორის, პრიორიტეტული საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულებების განსაზღვრის, თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამულ მიმართულებასა და პრიორიტეტულ საგანმანათლებლო პროგრამულ მიმართულებას შორის სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის წლიური მოცულობის პრიორიტეტული საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულებებისათვის გამოყოფილი სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის წლიური მოცულობის განაწილების შესახებ

მუხლი 1

სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის წლიური მოცულობისა და ოდენობების, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულებების, მათ შორის, პრიორიტეტული საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულებების განსაზღვრის, თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამულ მიმართულებასა და პრიორიტეტულ საგანმანათლებლო პროგრამულ მიმართულებას შორის სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის წლიური მოცულობის, პრიორიტეტული საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულებებისათვის გამოყოფილი სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის წლიური მოცულობის განაწილების მიზნით, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“, „ბ^{1}“ და „გ^{3}“ ქვეპუნქტების, 80^{1} მუხლის მე-2 პუნქტის, 81-ე მუხლის 2^{3} პუნქტისა და „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „რ“ ქვეპუნქტის საფუძველზე:

1. 2019-2020 სასწავლო წლისათვის სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის წლიური მოცულობა განისაზღვროს 2 250 000 (ორი მილიონ ორას ორმოცდაათი ათასი) ლარით.

2. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მაგისტრატურის თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამულ მიმართულებასა და პრიორიტეტულ საგანმანათლებლო პროგრამულ მიმართულებას შორის გასანაწილებელი გრანტის წლიური მოცულობა განისაზღვროს 2 000 000 (ორი მილიონი) ლარით.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

3. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „g^3“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მაგისტრანტების სოციალური პროგრამის ფარგლებში დაფინანსება განისაზღვროს 205 000 (ორას ხუთი ათასი) ლარით.

4. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 80^1 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მაგისტრანტების საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ განსაზღვრული სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში დაფინანსება განისაზღვროს 45 000 (ორმოცდახუთი ათასი) ლარით.

5. 2019-2020 სასწავლო წლისათვის სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტი გაიცემა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის საფასურის ოდენობით, მაგრამ არა უმეტეს 2 250 (ორი ათას ორას ორმოცდაათი) ლარისა.

6. 2019-2020 სასწავლო წლისათვის:

ა) განისაზღვროს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მაგისტრატურის შემდეგი საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულებები:

ა.ა) საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი (გარდა ფიზიკისა);

ა.ბ) ჯანდაცვა;

ა.გ) ჰუმანიტარული;

ა.დ) ხელოვნება;

ა.ე) აგრარული;

ა.ვ) განათლება;

ა.ზ) სოციალური მეცნიერებები (გარდა ეკონომიკისა);

ა.თ) საინჟინრო (გარდა ინფორმაციული ტექნოლოგიებისა);

ა.ი) სამართალი;

ა.კ) მათემატიკა და ფიზიკა;

ა.ლ) ინფორმაციული ტექნოლოგიები;

ა.მ) ბიზნესი და ეკონომიკა;

ბ) ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული თანხის 39,96% (799 200 (შვიდას ოთხმოცდაცხრამეტი ათას ორასი) ლარი) თანაბრად განაწილდეს ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამულ მიმართულებაზე.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

7. 2019-2020 სასწავლო წლისათვის ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული თანხის 60,04% (1 200 800 (ერთი მილიონ ორასი ათას რვაასი) ლარი) განაწილდეს ამ პროცენტული მაჩვენებლის ფარგლებში განსაზღვრულ მაგისტრატურის პრიორიტეტულ საგანმანათლებლო პროგრამულ მიმართულებებზე, პროცენტული მაჩვენებლების შემდეგნაირი განაწილებით:

ა) საინჟინრო (გარდა ინფორმაციული ტექნოლოგიებისა) – 9,57%;

ბ) საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი (გარდა ფიზიკისა) – 9,07%;

გ) სოციალური მეცნიერებები (გარდა ეკონომიკისა) – 8,57%;

დ) განათლება – 6,07%;

ე) ჰუმანიტარული – 6,07%;

ვ) ინფორმაციული ტექნოლოგიები – 5,87%;

ზ) ბიზნესი და ეკონომიკა – 5,07%;

თ) სამართალი – 3,07%;

ი) მათემატიკა და ფიზიკა – 2,67%;

კ) აგრარული – 2,17%;

ლ) ჯანდაცვა – 1,17%;

მ) ხელოვნება – 0,67%.

8. ამ მუხლის მე-6 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტითა და მე-7 პუნქტით გათვალისწინებული თანხა საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულებების, პრიორიტეტული საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულებების მიხედვით განაწილდეს საერთო სამაგისტრო გამოცდაში მოპოვებული აბსოლუტური ქულებისა და ამ მუხლის მე-6 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულების, მათ შორის, ამ მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრული პრიორიტეტული საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულების მიხედვით რანჟირებულ მაგისტრანტობის კანდიდატთა სიებში უმაღლესი ქულების მქონე მაგისტრანტობის კანდიდატებზე.

9. იმ მაგისტრანტობის კანდიდატზე/კანდიდატებზე, რომელსაც/ რომელთაც ამ მუხლის მე-6 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტითა და მე-7 პუნქტით განსაზღვრული პროცენტული მაჩვენებლების ფარგლებში ამავე მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებულ სიებში აქვს/აქვთ ქულა/თანაბარი ქულები და ამ მუხლის მე-6 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტითა და მე-7 პუნქტით განსაზღვრული თანხის მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით განაწილების შემდეგ დარჩენილი ოდენობა მისი/ყველა მათგანის დაფინანსებისათვის საკმარისი არ არის, დაფინანსება აღარ განაწილდება.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

10. ამ მუხლის მე-6 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტითა და მე-7 პუნქტით გათვალისწინებული თანხის განაწილების შედეგად და ამავე მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში დარჩენილი თანხის საერთო ოდენობა, ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული თანმიმდევრობის დაცვით, განაწილდება იმ მაგისტრანტობის კანდიდატზე/კანდიდატებზე, რომელსაც/რომლებსაც რანჟირებულ მაგისტრანტობის კანდიდატთა სიებში უმაღლესი ქულა აქვს/აქვთ და რომელზეც/რომლებზეც ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში დაფინანსება არ განაწილდა.

11. ამ მუხლის მე-10 პუნქტით გათვალისწინებული განაწილების დროს დარჩენილი თანხის ის ოდენობა, რომელიც საკმარისი არ არის რომელიმე პრიორიტეტულ საგანმანათლებლო პროგრამულ მიმართულებაში ამ მუხლის მე-10 პუნქტით გათვალისწინებული მაგისტრანტობის კანდიდატის/კანდიდატების დასაფინანსებლად, შეივსება იმ ოდენობამდე, რომელიც საკმარისია მხოლოდ ამ პრიორიტეტულ საგანმანათლებლო პროგრამულ მიმართულებაში ამ მუხლის მე-10 პუნქტით გათვალისწინებული მაგისტრანტობის კანდიდატის/მაგისტრანტობის კანდიდატების დასაფინანსებლად.

12. თანხის ის ოდენობა, რომელიც დარჩა ამ მუხლის მე-10 პუნქტით გათვალისწინებული ყველა მაგისტრანტობის კანდიდატის დაფინანსების შემდეგ, ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული თანმიმდევრობის დაცვით განაწილდება იმ მაგისტრანტობის კანდიდატზე/კანდიდატებზე, რომელსაც/რომლებსაც რანჟირებულ მაგისტრანტობის კანდიდატთა სიებში უმაღლესი ქულა აქვს/აქვთ და რომელზეც/რომლებზეც ამ მუხლის მე-10 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში დაფინანსება არ განაწილდა.

13. ამ მუხლის მე-12 პუნქტით გათვალისწინებული განაწილების დროს დარჩენილი თანხის ის ოდენობა, რომელიც საკმარისი არ არის რომელიმე პრიორიტეტულ საგანმანათლებლო პროგრამულ მიმართულებაში ამ მუხლის მე-12 პუნქტით გათვალისწინებული მაგისტრანტობის კანდიდატის/კანდიდატების დასაფინანსებლად, შეივსება ამ მუხლის მე-11 პუნქტით განსაზღვრული წესით.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ - მინისტრი

მამუკა ბახტაძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №248

2019 წლის 15 აგვისტო, ქ. თბილისი

„სპეციალური დაბეგვრის რეჟიმების გამოყენების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №999 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1. „სპეციალური დაბეგვრის რეჟიმების გამოყენების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №999 ბრძანებაში (სსმ, №172, 31.12.2010, 200230040.22.033.016103) შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანებით დამტკიცებული „სპეციალური დაბეგვრის რეჟიმების შესახებ“ ინსტრუქციის (დანართი №1) მე-14 მუხლის პირველი პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 1^1 პუნქტი:

„1^1. ფიზიკური პირის მიერ საანგარიშო წლის განმავლობაში ჩვეულებრივი დაბეგვრის რეჟიმიდან მცირე ბიზნესის დაბეგვრის რეჟიმზე გადასვლისას, იგი არასრულ საგადასახადო პერიოდში (შესაბამისი წლის დასაწყისიდან სტატუსის მინიჭების თვემდე) მიღებულ შემოსავლებზე საგადასახადო დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს წარუდგენს არაუგვიანეს საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილისა. პირს, აღნიშნული დეკლარაციის მიხედვით, მიმდინარე გადასახდელები არ დაერიცხება.“.

მუხლი 2. ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისათანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2019 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

ივანე მაჭავარიანი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის

ბრძანება №1-1/378

2019 წლის 1 აგვისტო, ქ. თბილისი

„თავისუფალ ტურისტულ ზონაში საშუალო და მაღალი კლასის სასტუმროს კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2010 წლის 27 დეკემბრის №1-1/2045 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„თავისუფალ ტურისტულ ზონაში საშუალო და მაღალი კლასის სასტუმროს კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2010 წლის 27 დეკემბრის №1-1/2045 ბრძანებით (სსმ III, №170, 29.12.2010, სარეგისტრაციო კოდი: 330130000.22.024.016030) დამტკიცებულ თავისუფალ ტურისტულ ზონაში საშუალო და მაღალი კლასის სასტუმროს კრიტერიუმებში შეტანილ იქნეს შემდეგი სახის ცვლილებები:

1. **პირველი მუხლის „ბ“ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„ბ) ლიფტი – თუ სასტუმრო 2 სართულზე მეტია“.

2. **მეორე მუხლის „ბ“ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„ბ) ლიფტი – თუ სასტუმრო 2 სართულზე მეტია“.

3. **მე-3 მუხლი ამოღებულ იქნეს**.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ეკონომიკისა და

მდგრადი განვითარების მინისტრი

ნათელა თურნავა

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბრძანება №01-57/ნ

2019 წლის 9 აგვისტო, ქ. თბილისი

,,საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან პროფესიული განვითარების საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2018 წლის 15 აგვისტოს №01-9/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

,,საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან პროფესიული განვითარების საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ” საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2018 წლის 15 აგვისტოს №01-9/ნ ბრძანებაში (www.matsne.gov.ge; 15/08/2018, სარეგისტრაციო კოდი: 010240030.22.035.016518) შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანებით დამტკიცებული №1 დანართის (პროფესიული განვითარების საბჭოს დებულება) პირველ მუხლს მე-5 პუნქტის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის 5^1 პუნქტი:

„5^1. სააგენტო უზრუნველყოფს საბჭოს წარმომადგენლობას საქართველოს საერთო სასამართლოებში, სადაც მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ასრულებს ყველა საპროცესო მოქმედებას, მათ შორის სარჩელის აღძვრას, არბიტრაჟისათვის საქმის გადაცემას, სასარჩელო მოთხოვნაზე მთლიანად ან ნაწილობრივ უარის თქმას, სარჩელის ცნობას, სარჩელის საგნის შეცვლას, მორიგებას, სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრებას, სააღსრულებო ფურცლის გადასახდევინებლად წარდგენასა და მიკუთვნებული ქონების ან ფულის მიღებას.“.

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა,

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი

ეკატერინე ტიკარაძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბრძანება №01-58/ნ

2019 წლის 9 აგვისტო, ქ. თბილისი

„პერინატალური სამსახურების რეგიონალიზაციის დონეებისა და პაციენტის რეფერალის კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2015 წლის 15 იანვრის №01-2/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„პერინატალური სამსახურების რეგიონალიზაციის დონეებისა და პაციენტის რეფერალის კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2015 წლის 15 იანვრის №01-2/ნ ბრძანებაში (www.matsne.gov.ge, 15/01/2015, 470230000.22.035.016315) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. ბრძანებით დამტკიცებული №1 დანართის (პერინატალური სამსახურების რეგიონალიზაციის დონეები და პაციენტის რეფერალის კრიტერიუმები) მე-2 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. პერინატალური სერვისის მიმწოდებელმა დაწესებულებამ, გამონაკლის შემთხვევაში, შესაძლებელია, ერთდროულად მიაწოდოს II დონის სამეანო მოვლისა და III დონის ნეონატალური მოვლის სერვისები. აღნიშნული ვრცელდება მხოლოდ იმ დაწესებულებებზე, რომლებსაც პერინატალური სერვისის შესაბამისი დონე მინიჭებული აქვთ/მიენიჭებათ 2017 წლის 1 აპრილამდე. აღნიშნული დაწესებულებების წლიური ბრუნვა უნდა იყოს ≥1800 მშობიარობა წელიწადში (ან ≥ 150 მშობიარობა თვეში) და მათ, ასევე, უნდა ჰქონდეთ ახალშობილთა ინტენსიური მოვლის (NICU) ერთეული (განყოფილება, დეპარტამენტი და ა.შ.). გამონაკლისს წარმოადგენს საკოორდინაციო ჯგუფის გადაწყვეტილება პერინატალური სერვისის მიმწოდებელი იმ სამედიცინო დაწესებულების მიმართ (წლიური ბრუნვით < 1800-ზე), რომლის მიღწევადობა უახლოეს სუბსპეციალიზებული (III დონის) პერინატალური მოვლის სერვისის მიმწოდებელ დაწესებულებამდე აღემატება 120 წუთს ან/და განთავსებულია საზღვრისპირა მუნიციპალიტეტში/რეგიონში. აღნიშნული პერინატალური სერვისის ფარგლებში დაწესებულებას უფლება აქვს, მიიღოს ნაადრევი მშობიარობა და უზრუნველყოს III დონის ნეონატალური მოვლა, მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.“.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

2. **დანართი 1.1-ის (პაციენტის რეფერალის კრიტერიუმები) პირველი მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„გ) ორსულთა, მშობიარეთა, მელოგინეთა და ახალშობილთა ყველა სხვა მდგომარეობა, რომელიც მოითხოვს მულტიდისციპლინურ მართვას და/ან კრიტიკული მოვლის განყოფილებას, რომელიც უზრუნველყოფს სრულმასშტაბიან რესპირატორულ მოვლას და/ან საბაზისო რესპირატორული და მულტიორგანული უკმარისობის მოვლის ერთობლივ უზრუნველყოფას.“.

მუხლი 2

ბრძანება, გარდა პირველი მუხლის პირველი პუნქტისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე, ხოლო ბრძანების პირველი მუხლის პირველი პუნქტის მოქმედება გავრცელდეს 2019 წლის 5 იანვრიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა,

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი

ეკატერინე ტიკარაძე

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის

ბრძანება №151/04

2019 წლის 16 აგვისტო, ქ. თბილისი

„საქართველოს ტერიტორიაზე საკრედიტო საინფორმაციო ბიუროსათვის ინფორმაციის მიწოდების, საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს ბაზაში ინფორმაციის აღრიცხვის და ხელმისაწვდომობის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 27 აგვისტოს №195/04 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის და „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ**:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

მუხლი 1

„საქართველოს ტერიტორიაზე საკრედიტო საინფორმაციო ბიუროსათვის ინფორმაციის მიწოდების, საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს ბაზაში ინფორმაციის აღრიცხვის და ხელმისაწვდომობის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 27 აგვისტოს №195/04 ბრძანებით (www.matsne.gov.ge, 29/08/2018, ს/კ: 220020000.18.011.016334) დამტკიცებული წესის:

1. **მე-6 მუხლის მე-8 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„8. სესხის გამცემი ორგანიზაცია ვალდებულია გააჩნდეს მონაცემთა სუბიექტის/მომხმარებლის თანხმობა მისი მონაცემების ბიუროში გადამოწმებაზე და ამასთან, საკრედიტო/სასესხო, გარესაბალანსო ვალდებულებების (აკრედიტივი, გარანტია და სხვა) და სხვა მომსახურების გაწევისას სესხის გამცემი ორგანიზაცია ვალდებულია გააჩნდეს ერთჯერადი თანხმობა, რომლის მიღებიდანაც არ უნდა იყოს გასული 30 (ოცდაათი) სამუშაო დღეზე მეტი (დანართი №5). ეს მოთხოვნები არ ვრცელდება იმ მონაცემებზე, რომელიც კანონის თანახმად საჯაროდ ხელმისაწვდომია ან მონაცემთა სუბიექტმა ისინი საჯაროდ ხელმისაწვდომი გახადა.“.

2. **მე-7 მუხლის მე-8 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„8. ინფორმაციის მიმღები/მიმწოდებელი ვალდებულია გააჩნდეს პირის თანხმობა მისი მონაცემების ბიუროში გადამოწმებაზე და ამასთან, საკრედიტო/სასესხო, გარესაბალანსო ვალდებულებების (აკრედიტივი, გარანტია და სხვა) და სხვა მომსახურების გაწევისას სესხის გამცემი ორგანიზაცია ვალდებულია გააჩნდეს ერთჯერადი თანხმობა, რომლის მიღებიდანაც არ უნდა იყოს გასული 30 (ოცდაათი) სამუშაო დღეზე მეტი (დანართი №5). ეს მოთხოვნები არ ვრცელდება იმ მონაცემებზე, რომელიც კანონის თანახმად საჯაროდ ხელმისაწვდომია ან მონაცემთა სუბიექტმა ისინი საჯაროდ ხელმისაწვდომი გახადა.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტი

კობა გვენეტაძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის

ბრძანება №153/04

2019 წლის 20 აგვისტო, ქ. თბილისი

„ვალუტის გადამცვლელი პუნქტების რეგისტრაციისა და რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 28 თებერვლის №37/04 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

1. **მე-2 მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

,,ბ) პუნქტი – ეროვნული ბანკის მიერ რეგისტრირებული მეწარმე სუბიექტი, რომელიც ეროვნული და უცხოური ვალუტის ნაღდი სახით ყიდვა-გაყიდვის ოპერაციებს ახორციელებს საოპერაციო ფართში ან/და ელექტრონული აპარატის მეშვეობით;''.

2. **მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ და „ი“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„თ) ვალუტის გადამცვლელი პუნქტის/ფილიალის საოპერაციო ფართის აზომვითი ნახაზი;

ი) ვალუტის გადამცვლელი პუნქტის/ფილიალის საოპერაციო ფართის ინტერიერისა და ექსტერიერის ამსახველი ფოტომასალა.“.

3. **მე-3 მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 3^1 მუხლი**:

„მუხლი 3^1. ელექტრონული აპარატების მეშვეობით ვალუტის გადაცვლის ოპერაციების განხორციელება

1. მეწარმე სუბიექტი, რომელსაც სურს განახორციელოს ვალუტის გადაცვლის ოპერაციები ელექტრონული აპარატების მეშვეობით, რეგისტრაციის მიზნით მიმართავს ეროვნულ ბანკს ელექტრონული აპარატის მეშვეობით ვალუტის გაცვლის ოპერაციების განხორციელების თაობაზე განცხადებით (დანართი №5), რომელსაც თან უნდა დაერთოს ამ წესის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ – „დ“ და „ზ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული დოკუმენტაცია. დოკუმენტის ჩაბარების თარიღად ითვლება ეროვნული ბანკის მიერ განცხადებაზე მითითებული თარიღი და განცხადების განხილვის ვადის ათვლა იწყება მომდევნო სამუშაო დღიდან.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

2. ეროვნულ ბანკში უკვე რეგისტრირებული ვალუტის გადამცვლელი პუნქტი უფლებამოსილია, ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში, ხელახალი რეგისტრაციის გარეშე განახორციელოს ელექტრონული აპარატების მეშვეობით ვალუტის გადაცვლის ოპერაციები და ამასთან დაკავშირებით ეროვნულ ბანკს უნდა წარუდგინოს განცხადება (დანართი №6). ამ შემთხვევაში ელექტრონული აპარატისთვის გაიცემა ფილიალის საქმიანობის ნებართვა.

3. დაინტერესებულ მეწარმე სუბიექტს ელექტრონული აპარატების მეშვეობით ვალუტის გადაცვლის ოპერაციების განხორციელების უფლება აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს:

ა) ელექტრონული აპარატი იღებს ნებისმიერი ნომინალის ლარის ბანკნოტს და მონეტას, უცხოური ვალუტის შემთხვევაში უნდა განხორციელდეს მხოლოდ 100 ან უფრო დაბალი ნომინალის ბანკნოტების და მონეტების მიღება, გარდა რუსული რუბლის, თურქული ლირის, აზერბაიჯანული მანათის, სომხური დრამისა და უკრაინული გრივნის. ელექტრონულ აპარატს უნდა შეეძლოს მიღებული ბანკნოტების სერიული ნომრების წაკითხვა;

ბ) ელექტრონულმა აპარატმა უნდა განახორციელოს საეჭვო ბანკნოტების და მონეტების ამოცნობა და არ მიიღოს ასეთი ბანკნოტები და მონეტები ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციების განსახორციელებლად. იმ შემთხვევაში, თუ ელექტრონული აპარატის მეშვეობით მაინც განხორციელდა საეჭვო ბანკნოტების და მონეტების მიღება, მაშინ ელექტრონულმა აპარატმა მომხმარებელს ეკრანზე უნდა გამოუტანოს შეტყობინება, რომ მომხმარებელი დაუკავშირდეს ვალუტის გადამცვლელ პუნქტს. ამასთან, ვალუტის გადამცვლელმა პუნქტმა უნდა უზრუნველყოს, რომ საეჭვო ბანკნოტების და მონეტების მიღების სანაცვლოდ არ განხორციელდეს ვალუტის გადაცვლის ოპერაცია და აღნიშნული ბანკნოტები და მონეტები არ გაიცეს მომხმარებლებზე მათი გადახდის კანონიერი ძალის დადასტურებამდე;

გ) ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციის განხორციელების დროს მომხმარებელს უბეჭდავს ქვითარს ამ წესის მოთხოვნების შესაბამისად;

დ) ელექტრონულ აპარატში დამონტაჟებული სისტემის მეშვეობით საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით უწყვეტ რეჟიმში ხორციელდება ელექტრონული აპარატების ვიდეომეთვალყურეობა და შესაბამისი ჩანაწერის გაკეთება. ჩანაწერი უნდა ინახებოდეს მინიმუმ 30 კალენდარული დღის განმავლობაში. იმ შემთხვევაში, თუ ვიდეომეთვალყურეობის სისტემის გათიშვის/დაზიანების გამო ვალუტის გადამცვლელი პუნქტი ვერ უზრუნველყოფს ვიდეომეთვალყურეობის სისტემის გამართულ მუშაობას, ვალუტის გადამცვლელმა პუნქტმა ვიდეომეთვალყურეობის სისტემის დაზიანება უნდა აღმოფხვრას გონივრულ ვადებში. გაუმართაობის აღმოფხვრამდე ვალუტის გადამცვლელი პუნქტი უფლებამოსილი არ არის ვალუტის გადაცვლის ოპერაციები განახორციელოს შესაბამისი გაუმართავი ელექტრონული აპარატის მეშვეობით;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ე) გააჩნია სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფა ვალუტის გადაცვლის ოპერაციების აღსარიცხად, რომელსაც გააჩნია საეჭვო/უჩვეულო/დანაწევრებული გარიგებების გამოვლენის შესაძლებლობა და რომელიც უნდა შეესაბამებოდეს „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის, ამ წესითა და „ვალუტის გადამცვლელი პუნქტების მიერ ინფორმაციის მიღების, სისტემატიზაციის, დამუშავებისა და საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისათვის გადაცემის წესის შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის 2012 წლის 18 იანვრის №1 ბრძანებით განსაზღვრულ მოთხოვნებს;

ვ) პირს, ეკრძალება იყოს პუნქტის მფლობელი, ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში, ასევე მისი დირექტორი ან/და ბენეფიციარი მესაკუთრე/მესაკუთრეები, თუ ის ნასამართლევია მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის, ტერორიზმის დაფინანსებისათვის ან/და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის ან სხვა ეკონომიკური დანაშაულისათვის და ვალდებულია წარადგინოს ნასამართლეობის თაობაზე ცნობის დედანი ან მისი ნოტარიულად დამოწმებული ასლი. ამ პუნქტის საფუძველზე ეროვნულ ბანკში წარდგენილი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად გაცემული ნასამართლეობის ცნობის გაცემის თარიღიდან გასული დრო არ უნდა აღემატებოდეს 15 კალენდარულ დღეს, ხოლო უცხო ქვეყნის უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული ნასამართლეობის ცნობის გაცემის თარიღიდან გასული დრო არ უნდა აღემატებოდეს 60 კალენდარულ დღეს;

ზ) ელექტრონულ აპარატს უნდა შეეძლოს თითოეულ განხორციელებულ ოპერაციაზე კლიენტის პასპორტების ან/და პირადობის დამდასტურებელი დოკუმენტების წაკითხვა და შესაბამისი ელექტრონული ასლის შენახვა.

4. დაინტერესებული მეწარმე სუბიექტი ვალდებულია რეგისტრაციის/ნებართვის მიღების შემდეგ ყოველკვარტალურად ეროვნულ ბანკს წარუდგინოს სრულყოფილი ინფორმაცია ელექტრონული აპარატების რაოდენობის და ადგილმდებარეობის შესახებ, შესაბამისი მისამართების მითითებით.

5. კლიენტის მიერ ელექტრონული აპარატის მეშვეობით განხორციელებული ვალუტის გადაცვლის ჯამური ოპერაციების მოცულობა დღის განმავლობაში არ უნდა აღემატებოდეს 3,000 ლარს (ან მის ეკვივალენტს უცხოურ ვალუტაში). ოპერაცია უნდა განხორციელდეს „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონით და მის შესაბამისად მიღებული კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.

6. ამ მუხლის მიზნებისათვის ეროვნულ ბანკში წარსადგენი უცხო ქვეყნის მიერ გაცემული დოკუმენტები უნდა იყოს აპოსტილით დამოწმებული ან ლეგალიზებული. უცხოენოვანი დოკუმენტების წარდგენა ხორციელდება ნოტარიულად დამოწმებული თარგმანის სახით.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

7. ელექტრონული აპარატების მეშვეობით ვალუტის გადაცვლის ოპერაციების განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ ფიზიკური პირებისთვის (მათ შორის ინდივიდუალური მეწარმისათვის).

8. ეროვნული ბანკი უფლებამოსილია რეგისტრაციის მიზნებისათვის დამატებით მოითხოვოს და მიიღოს ნებისმიერი სხვა ინფორმაცია.

9. მეწარმე სუბიექტის მიერ ელექტრონული აპარატის მეშვეობით ვალუტის ნაღდი სახით ყიდვა-გაყიდვის ოპერაციების განხორციელების მიზნით რეგისტრაციის ან/და ნებართვის მიღების პროცედურაზე ვრცელდება ამ წესის მე-4 და მე-6 მუხლებით გათვალისწინებული ვადები.

4. **მე-4 მუხლის მე-4 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ზ“ ქვეპუნქტი**:

„ზ) სუბიექტი ვერ აკმაყოფილებს ამ წესის 7^1 მუხლით დადგენილ მოთხოვნებს.''.

5. **მე-5 მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „პ“ ქვეპუნქტი**:

„პ) დარღვეულია ამ წესის 7^1 მუხლით დადგენილი მოთხოვნები.“.

6. მე-7 მუხლის:

ა) პირველი პუნქტის „ბ.ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,ბ.ა) „ვიყენებთ საკომისიოს – Conversion fee applies“ (არსებობის შემთხვევაში);“;

ბ) პირველი პუნქტის „ბ.დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ.დ) „ტრანზაქციის გაუქმება და თანხის დაბრუნება შესაძლებელია ქვითრის მიღებიდან 30 წუთის განმავლობაში, თუ ტრანზაქციის მოცულობა არ აღემატება 3000 ლარს ან მის ეკვივალენტს უცხოურ ვალუტაში! – Transaction can be canceled and the amount returned within 30 minutes after receiving of the receipt, if the transaction volume does not exceed 3000 GEL or its equivalent in foreign currency!”.“;

გ) მე-12 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„12. პუნქტში/ფილიალში საეჭვო ფულის გამოვლენის შემთხვევაში შეადგინოს ცნობა (დანართი №4) სამ პირად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი ეძლევა მომხმარებელს, მეორე რჩება სალაროს, მესამე ფულის ნიშანთან ერთად ეგზავნება ეროვნულ ბანკს შემდგომი რეაგირებისათვის. ეროვნული ბანკი ექსპერტიზის შედეგებს 15 სამუშაო დღის განმავლობაში ატყობინებს პუნქტს. ნამდვილი/გადასახდელად ვარგისი ფულის ნიშნის გამოვლენისას შესაბამისი თანხა უნაზღაურდება მომხმარებელს, ხოლო ყალბი ან გადასახდელად უვარგისი ფულის ნიშანი არ ანაზღაურდება. მოთხოვნის შემთხვევაში ნამდვილი, მაგრამ გადასახდელად უვარგისი ფულის ნიშანი უბრუნდება მომხმარებელს. იმ შემთხვევაში, თუ ფულის ნიშნის მფლობელი უარს აცხადებს ცნობაზე ხელის მოწერაზე, პუნქტი ვალდებულია შესაბამისი ჩანაწერი გააკეთოს ცნობაზე.“.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

7. მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ვ) ტრანზაქციის განხორციელების დრო (წამი, წუთი, საათი) და თარიღი;“.

8. მე-7 მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 7^1 მუხლი:

„მუხლი 7^1. ელექტრონული აპარატის მეშვეობით ვალუტის გადამცვლელი პუნქტის ვალდებულებები

1. პუნქტმა უნდა უზრუნველყოს:

ა) გადაცვლის ოპერაციის დაწყებამდე ელექტრონული აპარატის ეკრანზე ეროვნული ბანკის მიერ გაცემული რეგისტრაციის დამადასტურებელი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოტანა;

ბ) გადაცვლის ოპერაციის განხორციელებამდე ეკრანზე შემდეგი ინფორმაციის მსხვილი (მინიმუმ 28) შრიფტით გამოტანა:

ბ.ა) „ვიყენებთ საკომისიოს – Conversion fee applies“ (არსებობის შემთხვევაში);

ბ.ბ) „ვიყენებთ საყურადღებო კურსს – We are using notable exchange rate“ (არსებობის შემთხვევაში);

ბ.გ) „ტრანზაქციის გაუქმება და თანხის დაბრუნება შესაძლებელია ქვითრის მიღებიდან 30 წუთის განმავლობაში, თუ ტრანზაქციის მოცულობა არ აღემატება 3000 ლარს ან მის ეკვივალენტს უცხოურ ვალუტაში! – Transaction can be canceled and the amount returned within 30 minutes after receiving of the receipt, if the transaction volume does not exceed 3000 GEL or its equivalent in foreign currency!”.

ბ.დ) ეკრანზე თანხის დაბრუნების შესახებ ინსტრუქციის გამოტანა;

გ) ელექტრონული აპარატის ეკრანზე განთავსებული ვალუტის ყიდვა-გაყიდვის კურსების ამსახველი ინფორმაცია, ერთნაირი შრიფტით, ზომითა და განათებით უნდა იყოს ასახული. ამასთანავე, ელექტრონული აპარატის ეკრანზე განთავსებული ვალუტის ყიდვა-გაყიდვის კურსების ამსახველი ინფორმაცია უნდა მოიცავდეს მინიმუმ შემდეგს:

გ.ა) ვალუტის დასახელება;

გ.ბ) ვალუტის ყიდვის კურსი მეასედის სიზუსტით (მარცხნივ);

გ.გ) ვალუტის გაყიდვის კურსი მეასედის სიზუსტით (მარჯვნივ);

გ.დ) მომხმარებელთა საყურადღებოდ: საკომისიოს ოდენობა და საყურადღებო კურსი (არსებობის შემთხვევაში).

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

2. ელექტრონული აპარატის მეშვეობით ვალუტის გადაცვლის ოპერაციის განხორციელების დროს სპეციალური პროგრამული საშუალებით წარმოებულ ციფრულ მონაცემთა ბაზაში პუნქტმა უნდა ასახოს მის მიერ განხორციელებული ვალუტის ყიდვა-გაყიდვის თითოეული ოპერაცია, ამ წესით, „ვალუტის გადამცვლელი პუნქტების მიერ ინფორმაციის მიღების, სისტემატიზაციის, დამუშავებისა და საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისათვის გადაცემის წესის შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის 2012 წლის 18 იანვრის №1 ბრძანებით და „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ" საქართველოს კანონით და მის შესაბამისად მიღებული კანონქვემდებარე აქტებით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად. ციფრულ მონაცემთა ბაზაში განხორციელებული ვალუტის ყიდვა-გაყიდვის თითოეული ოპერაცია იმგვარად უნდა იყოს ასახული, რომ შესაძლებელი იყოს ეროვნული ბანკისათვის მათი ოპერატიულად წარდგენა.

3. ელექტრონულმა აპარატმა უნდა უზრუნველყოს ელექტრონული აპარატის მეშვეობით გაწეული მომსახურების ქვითრის კლიენტისათვის ამობეჭდვა, რომელიც მინიმუმ უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

ა) ელექტრონული აპარატის მფლობელი პირის დასახელება და მისამართი;

ბ) ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ქვითრის №;

გ) შემოსული და გასული ვალუტის დასახელება და თანხის ოდენობა;

დ) გადაცვლის კურსი;

ე) კლიენტის საიდენტიფიკაციო მონაცემები: კლიენტის სახელი, გვარი, მისამართი, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ნომერი, პირადი ნომერი, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის გამცემი ორგანო და გაცემის თარიღი;

ვ) ტრანზაქციის განხორციელების დრო (წამი, წუთი, საათი) და თარიღი;

ზ) ტრანზაქციის გაუქმება და თანხის დაბრუნება შესაძლებელია ქვითრის მიღებიდან 30 წუთის განმავლობაში, თუ ტრანზაქციის მოცულობა არ აღემატება 3000 ლარს ან მის ეკვივალენტს უცხოურ ვალუტაში! – Transaction can be canceled and the amount returned within 30 minutes after receiving of the receipt if the transaction volume does not exceed 3000 GEL or its equivalent in foreign currency!

4. ელექტრონული აპარატებით განხორციელებული ვალუტის გადაცვლის ოპერაციების დროს ციფრულ მონაცემთა ბაზაში ინფორმაციის ასახვა უნდა განხორციელდეს როგორც კონსოლიდირებული/ცენტრალიზებული სახით, ასევე განცალკევებულად თითოეული ელექტრონული აპარატის მიხედვით.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

5. პუნქტის მიერ ელექტრონული აპარატის მეშვეობით ვალუტის გადაცვლის ოპერაციის განხორციელების შემდგომ საეჭვო ფულის გამოვლენის შემთხვევაში უნდა შედგეს ცნობა (დანართი №4) ორ პირად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი რჩება ელექტრონული აპარატის მფლობელთან, მეორე, ფულის ნიშანთან ერთად ეგზავნება ეროვნულ ბანკს შემდგომი რეაგირებისათვის. აღნიშნულ შემთხვევაში არ არის სავალდებულო კლიენტის შესახებ მონაცემების ცნობაში დაფიქსირება. ეროვნული ბანკი ექსპერტიზის შედეგებს 15 სამუშაო დღის განმავლობაში ატყობინებს ელექტრონული აპარატის მფლობელს. ეროვნული ბანკის მოთხოვნის შემთხვევაში, ელექტრონული აპარატის მფლობელი ვალდებულია ეროვნულ ბანკს წარუდგინოს შესაბამისი ელექტრონული აპარატის ვიდეომეთვალყურეობის სისტემის და სპეციალური პროგრამული საშუალების ჩანაწერები. ყალბი ან გადასახდელად უვარგისი ფულის ნიშანი არ ანაზღაურდება და რჩება ეროვნულ ბანკში.

6. იმ შემთხვევაში, თუ ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციის განხორციელების დროს შეუძლებელია ამ მუხლით დადგენილი ქვითრის დაბეჭდვა, დაუშვებელია ვალუტის გადაცვლის ოპერაციის განხორციელება.“.

9. დანართი №4 ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

10. დაემატოს დანართი №5 და დანართი №6 თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტი

(პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი)

პაპუნა ლეჟავა

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

დანართი №4

ქ. _____ „_____” „_____” 20წ.

ცნობა

საეჭვო ფულის გამოვლენის შესახებ

ვალუტის გადამცვლელი პუნქტის დასახელება _____

პასუხისმგებელი პირი _____

შემომტანი _____

პირის სახელი, გვარი, მოქალაქეობა, პირადი ნომერი პირადობის დამადასტურებელი საბუთის

_____

მიხედვით, მისამართი (ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით) და

_____

ტელეფონის ნომერი, იურიდიული პირის შემთხვევაში მიეთითება ასევე მისი დასახელება

ვალუტის დასახელება	ნომინალი	გამოშვების წელი	სერია, ნომერი	თანხა

პასუხისმგებელი პირი შემომტანი

_____ _____

(ხელმოწერა) (ხელმოწერა)

საქართველოს ეროვნული ბანკის დასკვნა: (შ.ა.)

საქართველოს ეროვნული ბანკის

პასუხისმგებელი პირი _____

(ხელმოწერა, თარიღი)

კომენტარი:_____

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ვალუტის გადამცვლელი პუნქტის

პასუხისმგებელი პირი _____ (ხელმოწერა)

შემომტანი _____ (ხელმოწერა)

* იმ შემთხვევაში, თუ ფულის ნიშნის შემომტანი უარს აცხადებს ინდენტიფიცირებაზე ან/და ცნობაზე ხელის მოწერაზე, ვალუტის გადამცვლელი პუნქტი ვალდებულია აღნიშნულის შესახებ მიუთითოს შენიშვნის ველში.

დანართი №5

განცხადება ელექტრონული აპარატის მეშვეობით ვალუტის გაცვლის ოპერაციების განხორციელების თაობაზე

„ვალუტის გადამცვლელი პუნქტების რეგისტრაციისა და რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 28 თებერვლის №37/04 ბრძანების შესაბამისად, გთხოვთ, დაარეგისტრიროთ ვალუტის გადამცვლელი პუნქტი (ელექტრონული აპარატი) წინამდებარე განცხადებისა და თანდართული დოკუმენტების საფუძველზე:

ელექტრონული აპარატის მფლობელის საფირმო სახელწოდება _____

ელექტრონული აპარატის მფლობელის სამართლებრივი ფორმა _____

ელექტრონული აპარატის მფლობელის საიდენტიფიკაციო კოდი _____

ელექტრონული აპარატის რეგისტრაციის ნომერი _____

წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი _____

ელექტრონული აპარატის მფლობელის იურიდიული მისამართი _____

ელექტრონული აპარატის ფაქტობრივი მისამართი _____

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საკონტაქტო ტელეფონის ნომერი

_____

ელექტრონული ფოსტის მისამართი

_____

მომსახურე კომერციული ბანკი/ბანკები ანგარიშების რეკვიზიტები ბანკში(ბანკებში)

_____

მომსახურებისას ვიყენებ(შემოხაზეთ) საკომისიოს/ საყურადღებო კურსს

აღნიშნულ განცხადებაზე ხელმოწერით ვადასტურებ, რომ:

1. გავეცანი ვალუტის გადამცვლელი პუნქტის საქმიანობის მარეგულირებელ საქართველოს კანონმდებლობას და ვაკმაყოფილებ „ვალუტის გადამცვლელი პუნქტების რეგისტრაციისა და რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 28 თებერვლის №37/04 ბრძანებით დადგენილ სარეგისტრაციო პირობებს.

2. განცხადებაში შეტანილი ინფორმაცია ზუსტი და უტყუარია;.

ხელმოწერა: თარიღი:

დანართი №6

განცხადება ელექტრონული აპარატისათვის ფილიალის საქმიანობის ნებართვის მიღების თაობაზე

„ვალუტის გადამცვლელი პუნქტების რეგისტრაციისა და რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 28 თებერვლის №37/04 ბრძანების შესაბამისად, გთხოვთ, მომცეთ ნებართვა ვალუტის გადამცვლელი პუნქტის ფილიალის (ელექტრონული აპარატის) გახსნის თაობაზე წინამდებარე განცხადებისა და თანდართული დოკუმენტების საფუძველზე:

ელექტრონული აპარატის მფლობელის საფირმო სახელწოდება

_____

ელექტრონული აპარატის მფლობელის სამართლებრივი ფორმა

_____

ელექტრონული აპარატის მფლობელის საიდენტიფიკაციო კოდი

_____

ელექტრონული აპარატის რეგისტრაციის ნომერი _____

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი

_____

ელექტრონული აპარატის მფლობელის იურიდიული მისამართი

_____

ელექტრონული აპარატის ფაქტობრივი მისამართი

_____

საკონტაქტო ტელეფონის ნომერი

_____

ელექტრონული ფოსტის მისამართი

_____

მომსახურე კომერციული ბანკი/ბანკები ანგარიშების რეკვიზიტები ბანკში(ბანკებში)

_____

მომსახურებისას ვიყენებ(შემოხაზეთ) საკომისიოს/საყურადღებო კურსს

აღნიშნულ განცხადებაზე ხელმოწერით ვადასტურებ, რომ:

1. გავეცანი ვალუტის გადამცვლელი პუნქტის საქმიანობის მარეგულირებელ საქართველოს კანონმდებლობას და ვაკმაყოფილებ „ვალუტის გადამცვლელი პუნქტების რეგისტრაციისა და რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 28 თებერვლის №37/04 ბრძანებით დადგენილ სარეგისტრაციო პირობებს.

2. განცხადებაში შეტანილი ინფორმაცია ზუსტი და უტყუარია.

ხელმოწერა: თარიღი:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

i n s t r u q c i a

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №235

2019 წლის 30 ივლისი, ქ. თბილისი

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით (სსმ, ვებგვერდი, 060111, 03/01/2011, 200090000.22.033.016112) დამტკიცებული ინსტრუქციის 25^1 მუხლის მე-15 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ე“ ქვეპუნქტი:

„ე) „ნარჩენების მართვის კოდექსის“ შესაბამისად, სეპარირებულად შეგროვებული მუნიციპალური ნარჩენის (ქაღალდის, მინის, პლასტიკის და მეტალის (ალუმინის ქილები)) ტრანსპორტირებისას.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

ივანე მაჭავარიანი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №246

2019 წლის 15 აგვისტო, ქ. თბილისი

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით (სსმ, ვებგვერდი, 060111, 03/01/2011, 200090000.22.033.016112) დამტკიცებული ინსტრუქციის 72-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის შენიშვნა:

„**შენიშვნა**: მოცემული შეზღუდვა არ ვრცელდება ისეთ შემთხვევაზე, როდესაც ძირითადი საშუალება ექსპლუატაციაში შესულია დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის ძალაში შესვლის მომენტის საანგარიშო პერიოდში.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

ივანე მაჭავა

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №247

2019 წლის 15 აგვისტო, ქ. თბილისი

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1. „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით (სსმ, ვებგვერდი, 060111, 03/01/2011, 200090000.22.033.016112) დამტკიცებულ ინსტრუქციაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. **39^1 მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„4. დაქირავებულმა პირმა ცნობის მისაღებად წერილობითი განცხადებით (დანართი №II-08^1) უნდა მიმართოს საგადასახადო ორგანოს. ამასთან, თუ ფიზიკური პირი (დაქირავებული) იცვლის სამუშაო ადგილს ან სურვილი აქვს სხვა დამქირავებელთან (საგადასახადო აგენტთან) გამოიყენოს საგადასახადო კანონმდებლობით მინიჭებული შეღავათი, ახალი ცნობის ასაღებად საგადასახადო ორგანოს წინა დამქირავებელის მიერ უნდა წარედგინოს შესაბამისი შეტყობინება (დანართი №II-08^3) გადახდის წყაროდან მიღებულ შემოსავლებზე შეღავათის გამოყენების უფლების შეწყვეტის თაობაზე. საგადასახადო ორგანო ვალდებულია განცხადების მიღებიდან სამი დღის ვადაში გასცეს ცნობა გადახდის წყაროდან მიღებულ შემოსავლებზე შეღავათის გამოყენების შესახებ.

5. დაქირავებულის თანხმობის შემთხვევაში, საგადასახადო ორგანოს ცნობის მისაღებად შესაძლებელია მიმართოს დამქირავებელმა (საგადასახადო აგენტმა). შეღავათის გამოყენების მიზნით, დაქირავებულმა პირმა დამქირავებელს (საგადასახადო აგენტს) უნდა წარუდგინოს შეღავათის სარგებლობის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი, რის საფუძველზე დამქირავებელმა (საგადასახადო აგენტმა) ცნობის მისაღებად წერილობითი განცხადებით (დანართი №II-08^1) უნდა მიმართოს საგადასახადო ორგანოს. საგადასახადო ორგანო ვალდებულია განცხადების მიღებიდან სამი დღის ვადაში გასცეს ცნობა გადახდის წყაროდან მიღებულ შემოსავლებზე შეღავათის გამოყენების შესახებ.“.

2. **დანართი №II-08^4 ამოღებულ იქნეს.**

3. **77^1 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„1. აქციზის თანხის გამოანგარიშების მიზნისთვის:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ა) საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 2402 20 კოდში მითითებული:

ა.ა) ფილტრიანი სიგარეტებისათვის, თამბაქოს შემცველობით, 20 ღერზე აქციზის განაკვეთი შეადგენს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 188-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული აქციზის განაკვეთისა და ამ საქონლის საცალო სარეალიზაციო ფასის 30 პროცენტის ჯამს;

ა.ბ) უფილტრო სიგარეტებისათვის, თამბაქოს შემცველობით, 20 ღერზე აქციზის განაკვეთი შეადგენს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 188-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული აქციზის განაკვეთისა და ამ საქონლის საცალო სარეალიზაციო ფასის 10 პროცენტის ჯამს;

ბ) საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 2403 99 900 01 კოდში მითითებული საქონლისათვის 20 ცალზე, აგრეთვე საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 2403 99 900 02 კოდში მითითებული საქონლისათვის 20 ღერზე აქციზის განაკვეთი შეადგენს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 188-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული აქციზის განაკვეთისა და ამ საქონლის საცალო სარეალიზაციო ფასის 30 პროცენტის ჯამს.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

ივანე მაჭავარიანი



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

გამოიწერეთ

გადასახადები

მეწარმეების, სამაღასახადო
ინსპექტორების, აუდიტორების,
ბუღალტრებისა და ყველა მაღამხდელის
უნივერსალური სამამიდო ჟურნალი

ჩვენი რეკვიზიტებია:

მიმღები: შპს 'ბიზნეს ინტელექტი"
მიმღების IBAN ანგარიშის
№ GE67TB332136020100005

მიმღების ბანკი: ს.ს „თიბისი" ბანკი
ბანკის კოდი: TBCBGE22

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com